985

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ორშაბათი
5 თებერვალი
1940 წ.
№ 29 (5730)
ფასი 10 კაპ

დღეს გაზეთში:

დამსახურებული ჯილდო („პრავდის“ მოწინავე)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი (1-ლი და მე-2 გვ.)

საბჭოთა კინემატოგრაფიის დღესასწაული (მოწინავე)

პარტიული ცხოვრება (მე-2 გვ.)

XX წელი საბჭოთა კინემატოგრაფიისა (მე-3 გვ.)

საკავშირო კონფერენცია დრეკადობის თეორიის საკითხებზე (მე-2 გვ.)

უცხოეთში:

ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ა. პიიპის სიტყვა (მე-4 გვ.)

შვეციის პრესა თეთრფინეთის მდგომარეობის შესახებ (მე-4 გვ.)

კამათი თემთა პალატაში (მე-4 გვ.)

ინგლის - საფრანგეთი ზეგავლენას ახდენენ რუმინეთზე (მე-4 გვ.)

დიდება სახელოვან გმირებს, არქტიკის უშიშარ დამპყრობთ!


კ. ს. ბადიგინი

ა. გ. ეფრემოვი

დ. პ. ბუტორინი

ა. პ. სობოლევსკი

ვ. ხ. ბუინიცკი

ნ. ს. შარიპოვი

ი. მ. ნეჟვეცკი


ს. დ. ტოკარევი

ი. დ. პაპანინი

დ. გ. ტროფიმოვი

ი. ი. გეტმანი

ე. ი. გამანკოვი

ა. ა. პოლიანსკი

ვ. ს. ალფეროვი


პ. ვ. მეგერი

ნ. მ. ბეკასოვი

მ. პ. ბელოუსოვი

დამსახურებული ჯილდო

მთელი ჩვენი ქვეყანა კმაყოფილებით შეხვდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დღეს გამოქვეყნებულ ბრძანებულებებს იმის შესახებ, რომ დაჯილდოებულნი არიან საბჭოთა ხალხის მამაცი შვილები—ყინულმჭრელი გემის „გიორგი სედოვის“ გულადი ეკიპაჟი, ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის“ თავდადებული ეკიპაჟი, ნადირთსახოცი კაპანოს „მურმანეცის“ გუნდისა და „ნ-171“ თვითმფრინავის ეკიპაჟის წევრები, რომლებმაც პარტიისა და მთავრობის დავალება ღირსეულად შეასრულეს არქტიკის სუსხიან ყინულებში. ამ ბრძანებულებებით გამოხატულია ნება-სურვილი მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხისა, რომელიც ქება-დიდებას ასხამს უშიშარ მეზღვაურებს.

დიდებისა და პატივის ოქროს წიგნში ახალი სახელები ჩაიწერა. 15 სედოველი, რომლებზედაც ამ დღეებში აღტაცებით ლაპარაკობს მთელი პროგრესიული კაცობრიობა, ღირსი გახდა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი სახელწოდებისა. **სტალინის** სახელით აღფრთოვანებულებმა დაიწყეს მათ 27 თვის წინათ თავიანთი დრეიფი, ამ დიადი სახელით აღფრთოვანებულები სძლევდნენ ყველა სიძნელეს, რაც კი გზაში ეღობებოდათ, ამ სახელით აღფრთოვანებულნი ისინი გამარჯვებულნი დაბრუნდნენ დიდ საბჭოთა მიწაზე. 27 თვის დრეიფის განმავლობაში რამდენჯერ უქადდნენ დაღუპვას პოლარული ყინულები ერთ მუჭა გულად ადამიანებს, რომელნიც თავგანწირულად მუშაობდნენ არქტიკის მაღალ განედებში, სადაც მანამდე არცერთ კაცს არ დაუდგამს ფეხი! სედოველთა კოლექტივის ურყევი ბოლშევიკური ნებისყოფა, სიმტკიცე და დარაზმულობა—აი ის მძლავრი ბარიერები, რომლებსაც ამაოდ ეხეთქებოდა გამძვინვარებული სტიქიონი.

მოუთმენლად ელოდნენ საბჭოთა ადამიანები ცნობებს მოდრეიფე გემიდან, ხარობდნენ სედოველების წარმატებებით, ამაყობდნენ მათი მამაცობით. პოლარულ ყინულთა ქაოსში ჩაჭედილი „გიორგი სედოვი“ მაგნიტივით იზიდავდა ყველა საბჭოთა ადამიანის ყურადღებას. ჩვენი ხალხი მუდამ დარწმუნებული იყო, რომ, თუ სედოველებს რაიმე შეემთხვა, სამშობლო, საბჭოთა მთავრობა, ამხანაგი **სტალინი** არ დასტოვებენ მათ გაჭირვებაში. მაგრამ გრძნობდა რა ამას, ჩვენი ხალხი მშვენივრად ითვალისწინებდა პირობების სირთულესაც: არავისთვის საიდუმლოება არ იყო, რომ ყინულები არ ხუმრობენ, რომ ბევრ გულადს, რომელმაც სცადა არქტიკის საიდუმლოების გამოცნობა, სიცოცხლის ფასად დაუჯდა ეს. აი სწორედ ამიტომ, როცა პოლარული ღამის წყვდიადში ყინულმჭრელ „იოსებ სტალინიდან“, რომელიც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ გაგზავნეს ყინულებიდან „სედოვის“ გამოსაყვანად, ჰორიზონტზე შენიშნეს შუქის მკრთალი კიაფი მოდრეიფე გემის ანძაზე, მილიონობით ადამიანთა გული სიხარულით აძგერდა.

მურმანსკში სედოველებთან შეხვედრის მომენტიდან თვით კრემლამდე ჩვენი ქვეყანა პატივისცემით ხვდებოდა, მთელი ხალხის სიყვარულისა და აღტაცების გამოთქმით აჯილდოებდა მათ. მათ დაიმსახურეს ეს ტრიუმფი! მათ ღირსეულად შეასრულეს თავიანთი ვალი სამშობლო ქვეყნის წინაშე, შეინარჩუნეს მათთვის ჩაბარებული გემი და ფასდაუდებელი განძი შესძინეს საბჭოთა მეცნიერებას.

ჩვენში არა ერთი და ორი ათეული მამაცი საბჭოთა პატრიოტია დაჯილდოებული ოქროს საგმირო ვარსკვლავებით. ზოგმა ეს ვარსკვლავები დაიმსახურა შორეული სარეკორდო გაფრენებით, სხვებმა — არქტიკის სტიქიონთან ბრძოლით, დანარჩენებმა — ჩვენი სამშობლოს მტრებთან ომის ფრონტებზე ბრძოლით. მაგრამ გარეგნულად რაც არ უნდა განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან ის გზა, რომლითაც ადამიანები საბჭოთა კავშირის გმირის მაღალ სახელწოდებას აღწევენ,—ამ გზას აქვს ყველასათვის საერთო ნიშანი: ის წყაროს, რომელიც საბჭოთა ადამიანების გმირობას ასაზრდოებს, წარმოადგენს უსაზღვრო ერთგულება სამშობლოსადმი, მზადყოფნა — შესწირონ მის კეთილდღეობას მთელი ძალღონე, ნიჭი, და თუ საჭიროა, სიცოცხლეც კი!

გმირ სედოველებთან ერთად ჩვენი ქვეყანა დღეს ახალ ჯილდოს ანიჭებს მთელი ხალხის საყვარელ ადამიანს, არქტიკის მამაც მკვლევარს, საბჭოთა პოლარელების სახელოვანი არმიის წინამძღოლს—ივანე დიმიტრის-ძე პაპანინს. ამხ. პაპანინმა, რომელიც დანიშნული იყო არქტიკის ყინულებიდან ყინულმჭრელ გემ „გიორგი სედოვის“ გამოსაყვანად მთავრობის მიერ გაგზავნილი ექსპედიციის უფროსად, მცირე შრომა როდი გასწია ექსპედიციის მოსაწყობად. იგი, იმყოფებოდა რა ყინულმჭრელ „იოსებ სტალინზე“, ხელმძღვანელობდა ყველა ოპერაციას, რაც დაკავშირებული იყო ყინულის ტყვეობიდან „გიორგი სედოვის“ განთავისუფლებასთან. პაპანინმა უზრუნველჰყო მთავრობის დავალების ბრწყინვალედ შესრულება.

საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების ღირსი გახდა ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის“ სახელოვანი წამყვანი — კაპიტანი მიხეილ პროკოფის-ძე ბელოუსოვი. მოდრეიფე გემის შესახვედრად მან ყინულმჭრელი ოსტატურად გაატარა სასტიკ ქარიშხალსა და ყინულებში და დაეხმარა მას მშვიდობით მოეღწია მშობლიურ ნაპირებამდე. საუცხოოდ მუშაობდა საპატიო დავალებით აღფრთოვანებული, ყინულმჭრელის მთელი ეკიპაჟი. გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის“ ეკიპაჟის 21 წევრი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებით და 35 წევრი მედალებით. თავდადებით მუშაობდნენ აგრეთვე მეზღვაურები ნადირთმხოც კაპანო „მურმანეცისა“, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა ყინულების გამოკვლევა გრენლანდიის ზღვაში.

ჩვენს ქვეყანას უყვარს გმირები და იცის გმირობის ღირსეულად დაფასება. საბჭოთა ადამიანებისათვის უცხოა შიში, როცა საქმე სამშობლოს დიდებას ეხება.

— სამშობლოსათვის! სტალინისათვის!—გამარჯვების ამ ძახილით საბჭოთა ადამიანებს იერიში მიაქვთ არქტიკის მიუვალ სიმაგრეებზე, გაჰყავთ ახალი საჰაერო ტრასები, რომლებიც ძველსა და ახალ ქვეყანას აერთიანებენ, ისინი გამანადგურებელ ლახვარს სცემენ თეთრგვარდიელ მახინჯებს ფინეთის ტყეებში.

სახელი და დიდება მამაც გმირებს! მათი მაგალითი აღაფრთოვანებს საბჭოთა ადამიანებს, მოუწოდებს ახალი გამარჯვებებისაკენ!

„პრავდის“ მოწინავე, 4/II.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ყინულმჭრელ გემის „გიორგი სედოვის“ დრეიფის მონაწილეთათვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ

1. გმირული დრეიფის ჩატარებისათვის, არქტიკის უძნელეს პირობებში მეცნიერულ გამოკვლევათა ფართო პროგრამის შესრულებისათვის და ამ საქმეში მამაცობისა და შეუპოვრობის გამოჩენისათვის მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის გმირის** სახელწოდება და გადაეცეს **ლენინის ორდენები** და **„ოქროს ვარსკვლავის“** მედლები:

1. კონსტანტინე სერგის-ძე **ბადიგინს**—ყინულმჭრელი გემის „გიორგი სედოვის“ კაპიტანს.
2. დიმიტრი გრიგოლის-ძე **ტროფიმოვს** — ყინულმჭრელი გემის „გიორგი სედოვის“ კაპიტნის მოადგილეს პოლიტნაწილში.
3. ანდრია გიორგის-ძე **ეფრემოვს** — კაპიტნის უფროს თანაშემწეს.
4. ვიქტორ ხარლამპის-ძე **ბუინიცკის** — ჰიდროგრაფს.
5. სერგი დიმიტრის-ძე **ტოკარევს** — მეორე მექანიკოსს.
6. ვსევოლოდ სტეფანეს-ძე **ალფეროვს**—მესამე მექანიკოსს.
7. ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე **პოლიანსკის** — რადისტს.
8. ნიკოლოზ მიხეილის-ძე **ბეკასოვს** — რადისტს.
9. დიმიტრი პროკოფის-ძე **ბუტორინს** — ბოცმანს.
10. იოსებ მარკოზის-ძე **ნეჟვეცკის** — მემანქანეს.
11. ნიკოლოზ სერგის-ძე **შარიპოვს** — მემანქანეს.
12. ალექსანდრე პეტრეს-ძე **სობოლევსკის** — ექიმს.
13. ეფრემ ივანეს-ძე **გამანკოვს** — მატროსს.
14. ივანე ივანეს-ძე **გეტმანს** — ცეცხლფარეშს.
15. პავლე ვლასის-ძე **მეგერს** — მზარეულს.

2. მიეცეს ერთდროული ფულადი ჯილდო კ. ს. ბადიგინს, დ. გ. ტროფიმოვს, ა. გ. ეფრემოვს, ვ. ხ. ბუინიცკის, ს. დ. ტოკარევს, ვ. ს. ალფეროვს, ა. ა. პოლიანსკის, ნ. მ. ბეკასოვს, დ. პ. ბუტორინს, ი. მ. ნეჟვეცკის, ნ. ს. შარიპოვს, ა. პ. სობოლევსკის, ე. ი. გამანკოვს, ი. ი. გეტმანს და პ. ვ. მეგერს 25.000 მანეთი თვითეულს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1940 წლის 3 თებერვალი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის“ ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

არქტიკის ყინულებიდან ყინულმჭრელ გემის „გიორგი სედოვის“ გამოყვანის შესახებ მთავრობის დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის **დაჯილდოებულ იქნას** ყინულმჭრელი „იოსებ სტალინი“ **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1940 წლის 3 თებერვალი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ყინულმჭრელ გემის „გიორგი სედოვის“ ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

812 დღის განმავლობაში ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანისა და გრენლანდიის ზღვის ყინულებში გმირული დრეიფისათვის **დაჯილდოებულ იქნას** ყინულმჭრელი გემი „გიორგი სედოვი“ **ლენინის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1940 წლის 3 თებერვალი.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში

3 თებერვალს ესტონეთის დესპანი ბ-ნი რეი ესტუმრა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეს ამხ. ვ. პ. პოტიომკინს და გადასცა მას ნოტა, რომელიც შეიცავს ცნობას იმ შემთხვევის შესახებ, რომ 2 თებერვალს ქალ. ტალინის ნავსადგურში მდგომმა საბჭოთა სამხედრო გემებმა სროლა აუტეხეს ესტონეთის თვითმფრინავს. ხედავს რა აღნიშნულ ფაქტში ესტონეთის რესპუბლიკის ტერიტორიის ხელშეუხებლობის დარღვევას, ესტონეთის მთავრობამ თავის მოსკოველ დესპანს დაავალა ამის გამო ნოტით პროტესტი განაცხადოს.

4 თებერვალს ამხ. პოტიომკინმა ბ-ნ რეის გადასცა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საპასუხო ნოტა, რომელიც განმარტებას იძლევა საბჭოთა სამხედრო გემებიდან ესტონეთის თვითმფრინავისათვის ატეხილი აღნიშნული სროლის შესახებ. ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის სარდლობის ცნობის თანახმად, წინააღმდეგ ესტონეთის სარდლობასთან შეთანხმებისა იმის შესახებ, რომ ესტონეთის თვითმფრინავებმა არ უნდა იფრინონ ტალინის ნავსადგურისა და იქ მდგომ საბჭოთა სამხედრო გემების თავზე, 2 თებერვალს, ტალინში „ბრისტოლ ბულდოგის“ ტიპის თვითმფრინავმა, რომელიც ესტონეთისა აღმოჩნდა, თავის მარშრუტს გადაუხვია და რამდენჯერმე გადაუფრინა საბჭოთა სამხედრო გემებს, რომლებსაც იგი უცხოეთისა ეგონათ და რამდენჯერმე ესროლეს მას საზენიტო ქვემეხი.

აღნიშნა რა, რომ ამ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი გაუგებრობას, საბჭოთა მთავრობამ თავისი სინანული გამოსთქვა ამის გამო.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საბჭოთა კავშირის გმირის ივანე დიმიტრის-ძე პაპანინის „ოქროს ვარსკვლავის“ მეორე მედლით დაჯილდოების შესახებ

არქტიკის ყინულებიდან ყინულმჭრელ გემის „გიორგი სედოვის“ გამოყვანის შესახებ მთავრობის დავალების სანიმუშოდ შესრულებისა და ამ საქმეში გამოჩენილი გმირობისათვის, რაც საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების უფლებას იძლევა, — დაჯილდოებულ იქნას მთავრობის ექსპედიციის უფროსი საბჭოთა კავშირის გმირი ივანე დიმიტრის-ძე **პაპანინი** **„ოქროს ვარსკვლავის“ მეორე მედლით**, გაკეთებულ იქნას ბრინჯაოს ბიუსტი და დაიდგას იგი კვარცხლბეკზე დაჯილდოებულის სამშობლოში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1940 წლის 3 თებერვალი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის“ კაპიტან მ. პ. ბელოუსოვისათვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ

არქტიკის ყინულებიდან ყინულმჭრელ გემის „გიორგი სედოვის“ გამოყვანის შესახებ მთავრობის დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის გმირის** სახელწოდება და გადაეცეს **ლენინის ორდენი** და **„ოქროს ვარსკვლავის“** მედალი ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის“ კაპიტანს მიხეილ პროკოფის-ძე ბელოუსოვს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1940 წლის 3 თებერვალი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ნადირმხოც კაპანო „მურმანეცის“ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ყინულებიდან ყინულმჭრელ გემ „გიორგი სედოვის“ გამოყვანამდე გრენლანდიის ზღვაში ყინულის გამოკვლევის სანიმუშოდ ჩატარებისათვის **შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულ იქნას ნადირმხოცი** კაპანო „მურმანეცი“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1940 წ. 3 თებერვალი.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1940 წლის 3 თებერვალს რატიფიკაცია უყო ვაჭრობისა და ზღვაოსნობის შესახებ სსრ კავშირსა და ბულგარეთს შორის ქ. მოსკოვში 1940 წლის 5 იანვარს დადებულ ხელშეკრულებას.

(საქდესი).

საბჭოთა კინემატოგრაფიის დღესასწაული

დღეს საბჭოთა კინემატოგრაფიას სახელოვანი არსებობის 20 წელი შეუსრულდა. ამ ბრწყინვალე თარიღს გულისხმიერად ეხმაურება მთელი საბჭოთა ხალხი, რომელიც დიდად აფასებს კინოს და უყვარს იგი.

სამოქალაქო ომების ქარცეცხლში დაიბადა ეს ხელოვნება ჩვენს ქვეყანაში და წლობით კი არა, დღითიდღე იზრდებოდა. მისი განვითარება გარემოცული იყო მთელი საბჭოთა ხალხის სიყვარულით, გმირული კომუნისტური პარტიის, პროლეტარიატის დიდი მასწავლებლების ლენინისა და სტალინის მზრუნველობით.

ბოლშევიკური პარტია და მისი ბელადები **ვ. ი. ლენინი** და **ი. ბ. სტალინი** მუდამ დიდ მნიშვნელობას მიაკუთვნებდნენ ჩვენი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში კინოხელოვნებას. „ხელოვნების ყველა დარგებს შორის კინო ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია“ — ამბობდა ვ. ი. ლენინი; „საბჭოთა ხელისუფლების ხელში კინო წარმოადგენს უდიდეს ფასდაუდებელ ძალას“, — ამბობს ი. ბ. სტალინი და ეს სიტყვები გადაიქცნენ საბჭოთა კინემატოგრაფიის წინსვლის დროშად.

ოცი წლის განმავლობაში საბჭოთა კინემატოგრაფიამ დიდი და სახელოვანი შემოქმედებითი გზა განვლო. ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის შემდეგ პროლეტარიატს მემკვიდრეობად ერგო უბადრუკი საწარმოო ბაზა, რომელიც მან კერძო, ბურჟუაზიული კინოსაწარმოების ნაციონალიზაციის ლენინური დეკრეტის საფუძველზე ჩქარა გარდაქმნა და გაამდიდრა ახალი ტექნიკით. ასე შეიქმნა რევოლუციური კინოხელოვნება, რომელმაც შეითვისა მოწინავე ლიტერატურის, თეატრის, სახვითი ხელოვნების საუკეთესო ტრადიციები, რამაც საბჭოთა კინო გაზარდა, დაავაჟკაცა და სოციალისტური ეპოქის მძლავრ ხელოვნებად აქცია.

საბჭოთა კინემატოგრაფიის შემოქმედებითი გზა მეტად რთული იყო. მაგრამ გმირული კომუნისტური პარტიის დახმარებით, დიდი სტალინის ყოველდღიური ყურადღებით გარემოცულმა საბჭოთა კინემატოგრაფიამ გამარჯვება მოიპოვა და მტკიცედ მიემართება წინ სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებისაკენ.

მხატვრულმა სიმართლემ, ღრმა რეალიზმმა, ბოლშევიკურმა მიმართებამ მოუპოვეს საბჭოთა კინემატოგრაფიას საყოველთაო აღიარება არა მარტო ხალხთა დიდ ოჯახში-საბჭოთა კავშირში—არამედ კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა შორისაც. დღეს თავისი კინემატოგრაფიის მიღწევებით სოციალისტური ქვეყანა ბევრად წინ უსწრებს კაპიტალისტურ ქვეყნებს.

გიგანტურმა სოციალისტურმა აღმშენებლობამ საბჭოთა კინემატოგრაფია გადააქცია სოციალისტური კულტურის მძლავრ ფაქტორად, მასების აღზრდის ძლიერ საშუალებად. ის გადაიქცა საბჭოთა ხალხის მოწინავე, მაღალიდეურ და უაღრესად მხატვრულ ხელოვნებად. სტალინური ხუთწლედების განხორციელების შედეგად გაიზარდა და განმტკიცდა კინემატოგრაფიის ტექნიკური ბაზა. შეიქმნა კინოაფსკისა და კინომექანიზმების მრეწველობა, რომელიც ოქტომბრის რევოლუციამდე ჩვენში არ არსებობდა. საბჭოთა კავშირი განთავისუფლდა უცხოეთზე დამოკიდებულებისაგან კინოსაწარმოებისა და კინოქსელის ტექნიკურად შეიარაღების საქმეში. დღეს ჩვენს ქვეყანაში არ არის კუთხე, სადაც საპროექციო აპარატი არ იდგეს. კინომ მტკიცედ მოიდგა ფეხი ჩვენს ყოფაცხოვრებაში და საბჭოთა ადამიანის სულიერ მოთხოვნილებად იქცა.

საბჭოთა კინემატოგრაფიის მიღწევებს განცვიფრებაში მოჰყავს მთელი მსოფლიო. ისეთმა ფილმებმა, როგორიცაა „ჩაპაევი“, „ლენინი ოქტომბერში“, „ლენინი 1918 წელს“, „ალექსანდრე ნეველი“, „დიადი განთიადი“, „ბალტიის დეპუტატი“, „ჩვენ კრონშტადტიდან ვართ“ და სხვ. საყოველთაოდ მოიხვეჭეს სახელი. მათ ტრიუმფით შემოიარეს მსოფლიო ეკრანები იმიტომ, რომ გაბრწყინებული არიან ლენინ-სტალინის დიადი იდეებით, რაც მათ აძლევს ძალას დარაზმონ მილიონიანი მასები კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში.

განსაკუთრებული მიღწევები ჩვენმა კინოხელოვნებამ მოიპოვა უკანასკნელი წლების განმავლობაში, მას შემდეგ, რაც შეუდგა კაცობრიობის უდიდესი გენიოსების — ლენინისა და სტალინის მხატვრულად ასახვას. ამ სასახელო თემაზე მუშაობამ მისი შემოქმედება კიდევ უფრო მაღალი იდეურობისა და ოსტატობის დონეზე აიყვანა.

საბჭოთა კინემატოგრაფიის საერთო მიღწევებში საქართველოს კინოსტუდიამაც შეიტანა თავისი წვლილი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გასული წელი ამ სტუდიის მუშაობაში საწარმოო გეგმის გარღვევით დასრულდა. ეს გარემოება გადაუდებელ ამოცანად უსახავს ჩვენს კინოსტუდიას მუშაობის საქმიან გარდაქმნას იმისათვის, რომ 1940 წლის საწარმოო გეგმის შესრულებას მეტი პასუხისმგებლობის გრძნობით მოჰკიდოს ხელი.

წელს საქართველოს კინოსტუდია სდგამს ისეთ ფილმებს, როგორიცაა „ფიცი“ და „ნაპერწკლიდან“, რომელთაც უდიდესი შემეცნებითი მნიშვნელობა ექნებათ ჩვენი ხალხისათვის. ამ ფილმებში მას კვლავ მოუხდება მუშაობა ლენინისა და სტალინის სანუკვარ სახეებზე. პარალელურად მან უნდა მოამზადოს ისტორიული ფილმი „გიორგი სააკაძე“, სრულმეტრაჟიანი ფილმები საბჭოთა თემატიკაზე — „კოლხიდის ჩირაღდნები“ „საგუშაგოსთან“, „ქალიშვილი ხიდობანიდან“, „ჩინებული ბიჭი“ და სხვ. ეს კი მოითხოვს საქართველოს საბჭოთა კინომუშაკთა ძალების უდიდეს საწარმოო გაქანებას. ამ ამოცანის გადაჭრა უნდა შესძლოს საქართველოს კინოსტუდიამ და მთელს საბჭოთა კინემატოგრაფიასთან ერთად მისცეს მრავალმილიონიან მასებს საუკეთესო ფილმები.

თავისი არსებობის მესამე ათეული წლის მიჯნაზე საბჭოთა კინემატოგრაფიის წინაშე კიდევ უფრო მკვეთრად ისახება მაღალი ოსტატობისათვის ბრძოლის ამოცანები.

„აქვს რა მასებზე სულიერი ზემოქმედების განსაკუთრებული შესაძლებლობანი, კინო ეხმარება მუშათა კლასს და მის პარტიას აღზარდონ მშრომელნი სოციალიზმის სულისკვეთებით, დარაზმონ მასები სოციალიზმისათვის საბრძოლველად, აამაღლონ მათი კულტურა და პოლიტიკური ბრძოლისუნარიანობა“ (ი. ბ. სტალინი).

კომუნიზმის მშენებლობის დიად პერიოდში კინოხელოვნების, როგორც მასების კულტურული აღზრდის უძლიერესი იარაღის ამოცანები ერთიორად იზრდება. ეს კარგად ესმის ჩვენს კინემატოგრაფიას და ამ შეგნებით გამსჭვალული, იგი კიდევ უფრო გაამრავლებს მიღწევებს თავისი სახელოვანი ისტორიის შემდგომ წლებში.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" ეკიპაჟის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

არქტიკის ყინულებიდან ყინულმჭრელ გემის „გიორგი სედოვის" გამოყვანის შესახებ მთავრობის დავალების სანიმუშოდ შესრულებისა და ამ საქმეში გმირობისა და მამაცობის გამოჩენისათვის დაჯილდოებულ იქნას ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" ეკიპაჟი.

„წითელი ვარსკვლავის" ორდენით

1. ბორის ნიკოლოზის-ძე **მაკაროვი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" კაპიტნის დუბლიორი.

2. ერნესტ გერმანის-ძე **რუმკე** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" კაპიტნის უფროსი თანაშემწე.

შრომის წითელი დროშის ორდენით

1. ანდრია ვასილის-ძე **ნეუპოკოევი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" უფროსი მექანიკოსი.

2. ვალენტინ თედორეს-ძე **დონაუხოვი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" მეორე მექანიკოსი, წინათ დაჯილდოებული „საპატიო ნიშნის" ორდენით.

3. ვასილ ალექსანდრეს-ძე **ცაკუნოვი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" ინჟინერ-ელექტრიკოსი.

4. ალექსანდრე პეტრეს-ძე **სმოლენსკი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" ექიმი.

5. მართა მიტროფანეს-ასული **პაელოვა** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" მეზუფეტე.

6. ივანე მიხეილის-ძე **სიჩევი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" უფროსი მემანქანე.

7. ანდრია პეტრეს-ძე **სავოჩკინი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" I კლასის ცეცხლფარეში.

„საპატიო ნიშნის" ორდენით

1. მიხეილ ნიკოლოზის-ძე **კოლობოვი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" I კლასის მემანქანე.

2. ალექსანდრე მარკოზის-ძე **შატუროვი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" მე-3 მექანიკოსი.

3. ივანე პავლეს-ძე **გრიგორიევი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" რადისტი.

4. ალექსანდრე ივანეს-ძე **მიშინი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" ბოცმანი.

5. ალექსანდრე ივანეს-ძე **მიხაილოვი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" უფროსი მესაჭე.

6. სერგი კუზმას-ძე **პოლუხინი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" I კლასის მატროსი.

7. აბრამ ლაზარეს-ძე **ლიუბოვიჩი** — გაზეთ „სტალინეცის" რედაქტორი.

8. მიხეილ მიხეილის-ძე **ვინოგრადოვი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" უფროსი მემანქანე.

9. მაქს იულის-ძე **ბრომბერგი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" I კლასის მემანქანე.

10. ვასილ სტეფანეს-ძე **გალუნოვი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" უფროსი მემანქანე.

11. მიხეილ ილიას-ძე **ნიუნიკი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" I კლასის ცეცხლფარეში.

12. ალექსი ივანეს-ძე **ნიკიტინი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" I კლასის ცეცხლფარეში.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის"

1. სერაფიმ სიმონის-ძე **გოლცევი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" I კლასის მატროსი.

2. ალექსანდრე პეტრეს-ძე **მაკარიხინი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" I კლასის მატროსი.

3. ნიკოლოზ პეტრეს-ძე **რუსანოვი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" II კლასის მატროსი.

4. ივანე დანიელის-ძე **მელნიკოვი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" II კლასის მატროსი.

5. ვასილ ხარიტონის-ძე **რეშეტნიკოვი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" უფროსი მემანქანე.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის"

1. ვიაჩესლავ მიხეილის-ძე **ნაზარიევი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" კაპიტნის მეორე თანაშემწე.

2. სერგი მიხეილის-ძე **სვეჩიხინი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" სპერისტი.

3. პეტრე ნიკოლოზის-ძე **სოკოლოვი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" მე-4 მექანიკოსი.

4. ევგენი ნიკოლოზის-ძე **გერშევიჩი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" რადიოს გამგე, წინათ დაჯილდოებული შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის" ორდენებით.

5. ვასილ იაკობის-ძე **ორლოვი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" ხურო.

6. ივანე ივანეს-ძე **მურაშევი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" I კლასის მატროსი.

7. ივანე ვასილის-ძე **შარაპოვი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" I კლასის მატროსი.

8. ივანე ალექსანდრეს-ძე **კოროლკოვი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" სურსათ-სანოვაგის გამგე, წინათ დაჯილდოებული „წითელი ვარსკვლავის" ორდენით.

9. გაბრიელ ვასილის-ძე **სუმინი** — გაზეთ „სტალინეცის" ასოთამწყობი.

10. ლეონიდე იურის-ძე **ზელენსკი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" დამლაგებელი.

11. ანა ნიკოლოზის-ასული **ნიკოლაევა** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" მრეცხავი.

12. ალექსანდრე აგაპის-ძე **აგაპოვი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" უფროსი მემანქანე.

13. პავლე ალექსის-ძე **ოშმარინი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" უფროსი მემანქანე.

14. მაქსიმ გრიგოლის-ძე **სპარიშევი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" ტრიუმის მემანქანე.

15. მიხეილ სვირიდის-ძე **ციგანენკო** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" ტრიუმის მემანქანე.

16. ბორის კაზემირის-ძე **ბუცკო** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" I კლასის მემანქანე.

17. ვლადიმერ გრიგოლის-ძე **გაგარინი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" I კლასის მემანქანე.

18. პავლე ისაკის-ძე **სემიონოვი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" I კლასის მემანქანე.

19. გრიგოლ ალექსანდრეს-ძე **ვოლკოვი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" I კლასის მემანქანე.

20. ვლადიმერ ფილიპეს-ძე **აკიმოვი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" II კლასის მემანქანე.

21. ალექსი ვიტალის-ძე **აფანასიევი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" ელექტრიკოსი.

22. მიხეილ გრიგოლის-ძე **ჟირკოვი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" ელექტრიკოსი.

23. ალექსანდრე ანდრიას-ძე **კირილოვი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" ცეცხლფარეშთა მამასახლისი.

24. ლეონიდე ალექსის-ძე **საველიევი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" ცეცხლფარეშთა მამასახლისი.

25. არსენ მიხეილის-ძე **ვასილიევი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" I კლასის ცეცხლფარეში.

26. დიმიტრი ალექსანდრეს-ძე **ვოლოდინი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" I კლასის ცეცხლფარეში.

27. დიმიტრი დიმიტრის-ძე **გერმანოვი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" I კლასის ცეცხლფარეში.

28. ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე **ვინოგრადოვი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" II კლასის ცეცხლფარეში.

29. ვასილ ეგორის-ძე **სემიონოვი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" II კლასის ცეცხლფარეში.

30. ალექსანდრე მიხეილის-ძე **მოშკინი** — ყინულმჭრელ „იოსებ სტალინის" უფროსი რადისტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1940 წ. 3 თებერვალი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ნადირმხოც კაპანო „მურმანეცის" ეკიპაჟის წევრთა დაჯილდოების შესახებ

ყინულებიდან ყინულმჭრელ გემ „გიორგი სედოვის" გამოყვანის დროს ყინულის გამოკვლევის შესახებ მთავრობის დავალების საუცხოოდ შესრულებისათვის დაჯილდოებულ იქნან:

შრომის წითელი დროშის ორდენით

გიორგი თევდორეს-ძე **სულაკოვი** — ნადირმხოც კაპანო „მურმანეცის" კაპიტანი.

„საპატიო ნიშნის" ორდენით

სილანტი ნიკანდრის-ძე **ნიკანოროვი** — ნადირმხოც კაპანო — „მურმანეცის" კაპიტნის თანაშემწე პოლიტნაწილში.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის"

ალექსანდრე ივანეს-ძე **ლიოგკი** — ნადირმხოც კაპანო „მურმანეცის" უფროსი მექანიკოსი, წინათ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1940 წლის 3 თებერვალი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ნ-171 თვითმფრინავის ეკიპაჟის დაჯილდოების შესახებ

ყინულმჭრელ გემ „გიორგი სედოვის" დრეიფის უშიშროების დაცვის საქმეში მთავრობის დავალების საუცხოოდ შესრულებისათვის დაჯილდოებულ იქნას ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველოს პოლარული ავიაციის ნ-171 თვითმფრინავის ეკიპაჟის შემადგენლობა, რომელიც რუდოლფის კუნძულზე იმყოფება:

„წითელი ვარსკვლავის" ორდენით

გიორგი კონსტანტინეს-ძე **ორლოვი** — ნ-171 თვითმფრინავის ეკიპაჟის მეთაური, წინათ ლენინის ორდენით დაჯილდოებული.

ენდელ კარლოს-ძე **პუსეპი** — ნ-171 თვითმფრინავის პილოტი.

ლევ მირონის-ძე **რუბინშტეინი** — ნ-171 თვითმფრინავის შტურმანი, წინათ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული.

შრომის წითელი დროშის ორდენით

პავლე პავლეს-ძე **პეტენინი** — ნ-171 თვითმფრინავის ბორტმექანიკოსი, წინათ „წითელი ვარსკვლავის" ორდენით დაჯილდოებული.

„საპატიო ნიშნის" ორდენით

ივანე ვასილის-ძე **მელნიკოვი** — ნ-171 თვითმფრინავის ბორტმექანიკოსი, წინათ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული.

ევგენი ილარიონის-ძე **ჩერნიშევი** — ნ-171 თვითმფრინავის ბორტმექანიკოსი, წინათ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის"

ოლეგ არქიპის-ძე **კუქსინი** — ნ-171 თვითმფრინავის ბორტრადისტი, წინათ შრომის წითელი დროშის ორდენითა და „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოებული.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1940 წ. 3 თებერვალი.

სედოველები მოსკოვში

სედოველები სიხარულით აღსავსენი და აღტაცებულნი დაბრუნდნენ გუშინ ღამით კრემლიდან, სადაც ისინი მიღებულ იქნენ. დილით ყველანი, ამხანაგ ბადიგინისა და ტროფიმოვის მეთაურობით მივიდნენ ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარ სამმართველოში. აქ ისინი იყვნენ პოლიტიკურ სამმართველოში და გადასცეს თავიანთ ქაღალდის გაზეთ „მი პობედიმ"-ის ნომრების კომპლექტი. თვითეულმა მათგანმა საჩუქრად მიიღო წიგნი—„27 თვე მოდრეიფე გემ „გიორგი სედოვზე".

ამხ. ბადიგინი გაეცნო მისასალმებელ დეპეშებს, რომლებიც ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარ სამმართველოს მოუვიდა მამაც სედოველთა სახელზე.

ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარ სამმართველოში მთელი დღის განმავლობაში განუწყვეტლივ გაისმოდა ტელეფონების წკრიალი. მშრომელთა ინტერესებდათ სედოველების ჯანმრთელობა, ჰპატიჟობდნენ მათ საზეიმო საღამოებზე. ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარ სამმართველოს გუშინ ეწვია დედაქალაქის პიონერთა და მოსწავლეთა რამდენიმე დელეგაცია, რომლებმაც სედოველებს სთხოვეს ესტუმრონ მათ.

○

როგორია სედოველთა გეგმები უახლოესი დღეებისათვის?

ამის პასუხად ამხ. კ. ს. ბადიგინმა გუშინ საქდესის კორესპონდენტს აცნობა:

— საღამოს ჩვენ ყველანი მივემგზავრებით მოსკოვის მახლობლად მდებარე ერთერთ დასასვენებელ სახლში, სადაც რამდენიმე დღეს დავყოფთ, მოვისმენთ მუსიკას, წავიკითხავთ რაიმეს, ვივარჯიშებთ თხილამურებით. მოსკოვში დაბრუნებისას კულტურის სასახლეებსა და სახლებს ვეწვევით, სადაც შევხვდებით დედაქალაქის მშრომელებს.

(საქდესი).

ოპერატიული ცნობა

ლენინგრადის სამხედრო ოლქის შტაბისა

4 თებერვლის განმავლობაში ფრონტზე უმთავრესად სწარმოებდა მზვერავთა საძიებო მოქმედებანი. ლადოგის ტბის ჩრდილოეთით მდებარე რაიონში გაიმართა ქვეითი ნაწილების ბრძოლა.

ჩვენმა ავიაციამ მოახდინა სადაზვერვო და საბრძოლო გაფრენები.

800 ვაგონი შაქარი

აგარა, 3 თებერვალი (საქდესი). შაქრის ჭარხლის უხვმა მოსავალმა უზრუნველჰყო ხანგრძლივი საწარმოო სეზონი აგარის შაქრის ქარხანაში. ქარხნის ყველა აგრეგატი სრული დატვირთვით მუშაობს. სეზონის დაწყებიდან 1 თებერვლამდე ქარხანამ უკვე გადაამუშავა 986 ათასი ცენტნერი ჭარხალი და გამოუშვა 800 ვაგონი შაქარი. (გასულ სეზონში ქარხანა მუშაობდა მხოლოდ 17 დეკემბრამდე და გადაამუშავა სულ 624 ათასი ცენტნერი ჭარხალი).

ქარხნის მუშაობა 15 თებერვლამდე გაგრძელდება.

ლენინის ორდენოსანი ყინულმჭრელი „იოსებ სტალინი"

ლენინის ორდენოსანი ყინულმჭრელი „გიორგი სედოვი".

პარტიული ცხოვრება

საშუალო სკოლის პარტიული ორგანიზაცია

ტყიბულის საშუალო სკოლის პარტიული ორგანიზაცია გასული წლის მარტში ჩამოყალიბდა. ათი თვის წინათ იგი თავის რიგებში ხუთ კომუნისტს ითვლიდა. პარტორგანიზაციამ იმთავითვე სერიოზული ყურადღება მიაქცია პარტიის რიგების ზრდის საკითხს.

ამ ხნის განმავლობაში პარტორგანიზაციამ საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად მიიღო 16 ამხანაგი. მათ შორის არიან მოწინავე მასწავლებლები და აქტიური საზოგადოებრივი მუშაკები დ. ბერძულიშვილი და ნ. მესხორაძე; გრ. ნასარაია — საშუალო სკოლის დირექტორი, ენერგიული მუშაკი, ი. ლაფერაძე — ფრიადოსანი მოწაფე, სკოლის კომკავშირული ორგანიზაციის კომიტეტის მდივანი, ნ. აბუთიძე — დაწყებითი სკოლის მასწავლებელი, ბაკურაძე — მუშა ზეინკალი, მოზრდილთა სკოლის მოწაფე (ახლა წითელარმიელია), ს. ყვავაძე — ყოფ. მალაროს მუშა, მოწაფე, აქტიური კომკავშირელი და სხვ.

პარტიულმა ორგანიზაციამ აქტიური მონაწილეობა მიიღო მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში. ყველა კომუნისტები ჩაბმული იყვნენ საარჩევნო კომისიების, აგრეთვე საგიტაციო და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში.

პარტორგანიზაცია სერიოზულ ყურადღებას აქცევს ახალგაზრდა კომუნისტთა იდეურ-თეორიული დონის ამაღლებას, მათ პოლიტიკურ აღზრდას და პრაქტიკულ მუშაობაში გამოწრთობას. აქ თვითეული ამხანაგი დამოუკიდებლად სწავლობს საქ. კ. პ. (ბ) ისტორიას. პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ელენე ნემსაძე სისტემატურად ესაუბრება კომუნისტებს პარტისტორიის შესწავლის საკითხებზე და საჭიროების შემთხვევაში სათანადო დახმარებას უწევს მათ. ამის შედეგად კომუნისტები გულმოდგინედ სწავლობენ ბოლშევიკთა პარტიის ისტორიას. ამხ. ნასარაიამ და გოლოძემ უკვე დაამთავრეს „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შესწავლა და ახლა მუშაობენ პირველი წყაროების მიხედვით. ამხ. ბერძულიშვილი ამჟამად პარტისტორიის სახელმძღვანელოს VIII თავს სწავლობს და ა. შ.

თვითეულ კომუნისტს მიცემული აქვს გარკვეული პარტიული დავალება, პარტორგანიზაციის მდივანი სისტემატურად ამოწმებს მიცემულ დავალებათა შესრულებას და ეხმარება მუშაობაში იმ ამხანაგებს, რომელთაც ჯერ კიდევ ვერ გაართვეს თავი მუშაობას.

მაგრამ ამასთანავე უნდა აღინიშნოს სერიოზული ნაკლოვანებანი ამ პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში. მას მხედველობიდან გამორჩა ისეთი სერიოზული საკითხები, როგორიცაა ბრძოლა ორწლიანობასთან, ბრძოლა ჩამორჩენასთან სწავლაში, სასწავლო დისციპლინის განმტკიცება და სხვ., რაც სასკოლო პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს მოქცეული.

შეიძლება მკითხველმა იფიქროს, რომ ამ სკოლაში ორწლიანობას ან ჩამორჩენას სწავლაში ადგილი არ ჰქონდეს. სამწუხაროდ ასე როდია. აქ 12 მოწაფე მეორე წელს იმავე ჯგუფშია, 472 მოსწავლიდან 127-მა სასწავლო წლის მეორე მეოთხედში სუსტი ნიშანი მიიღო ერთ ან ორ და მეტ საგანში. ამგვარად სწავლის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლის საკითხები აქ მეტად მწვავედ დგას. პარტიულ ორგანიზაციას კი ამ საქმისათვის უკანასკნელ დრომდე ყურადღება არ მიუქცევია, არ განუხილავს ორწლიანობასთან, სწავლის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლის საკითხები, არ დაუსახავს კონკრეტული ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ამ პარტიული ორგანიზაციის მაგალითი გაკვეთილად უნდა გამოიყენონ სასკოლო პარტიულმა ორგანიზაციებმა. მათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საკითხებს—ბრძოლას ორწლიანობასთან, სწავლაში ჩამორჩენასთან, მოსწავლეთა შორის დისციპლინის განმტკიცებას, ხულიგნობის აღმოფხვრას. ეს საკითხები სასკოლო პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ძირითადი საგანი უნდა გახდეს.

ლ. ჯავახაძე

საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის V პლენუმი

4 თებერვალს, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სასხდომო დარბაზში შესდგა საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის V პლენუმი.

თბილისის კომკავშირულ ორგანიზაციაში ახალ წევრთა მიღებისა და მათ შორის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ე. ჩოფიკაშვილმა.

გასულ წელს თბილისის კომკავშირულ ორგანიზაციას 12765 მოწინავე ახალგაზრდა შეემატა. მარტო სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონსარემონტო ქარხნის კომკავშირულმა ორგანიზაციამ თავის რიგებში 247 კაცი მიიღო, აქედან 237—წამყვანი პროფესიის მუშებია, რომლებიც სასახელოდ ასრულებენ გეგმებს. საბარგო - სავაგონო საამქროს ზეინკალი ამხ. გ. ქსოვრელი სამ ნორმას ასრულებს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეს—24 დეკემბერს კი მან გეგმა 800 პროცენტით შეასრულა. მსგავსი მაჩვენებლების მქონე კომკავშირელები ქარხანაში მრავალია. 45 კომკავშირელი დაწინაურდა ქარხნის სამეურნეო ხელმძღვანელ სამუშაოზე.

თბილისის კომკავშირის ასეთი მოწინავე ორგანიზაციები ბევრია.

პლენუმზე აღინიშნა კომკავშირის ორგანიზაციაში ახალ წევრთა მიღებისა და მათ შორის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. 142 პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციას 1939 წლის განმავლობაში არცერთი კაცი არ მიუღია თავის რიგებში; საქ. ალკკ სტალინის რაიკომის ბიურომ თავის ერთერთ სხდომაზე ერთბაშად დაამტკიცა 120 კაცის მიღება კომკავშირში. საქ. ალკკ თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომმა არც კი იცის თუ რამდენ ახლადმიღებულ კომკავშირელს არ მიუღია კომკავშირული ბილეთი.

ამხ. ე. ჩოფიკაშვილის მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. შაკილაძემ (26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კომკავშირული კომიტეტის მდივანი), ცქიტიშვილი (მაუდის ფაბრიკის კომკავშირული კომიტეტის მდივანი), გუგუციძემ (საქ. ალკკ მოლოტოვის რაიკომი), ჩუბინიძემ (საქ. ალკკ სტალინის რაიკომის მდივანი), დარაშვილმა (საქ. ალკკ 26 კომისრის რაიკომის მდივანი), ცქიტიშვილმა (საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანი) და სხვ.

პლენუმმა კომკავშირის თბილისის კომიტეტის მდივნად პროპაგანდის დარგში და აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგედ აირჩია ამხ. დ. რომელაშვილი. (საქდესი)

საკავშირო კონფერენცია დრეკადობის თეორიის საკითხებზე

4 თებერვლის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება დოცენტ გ. სავინისა (დნეპროპეტროვსკი) დრეკადობის თეორიის ანიზოტროპიული გარემოს ზოგიერთი ამოცანის შესახებ, დოცენტ ა. იშლინსკისა (მოსკოვი) — დრეკად პლასტიკური ამოცანების შესახებ და ასისტენტ ზ. ხალილოვისა (თბილისი)— კლებშის ამოცანა და მისი განზოგადება.

დილის სხდომაზე გაკეთებულ მოხსენებათა გარშემო სიტყვებით გამოვიდნენ: აკად. ნ. მუსხელიშვილი, პროფ. ი. ვეკუა (თბილისი), პროფ. ს. მიხლინი, დოც. ა. იშლინსკი და დოც. ი. მინდლინი (მოსკოვი).

საღამოს სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა მოხსენება დოც. ნ. ზვალინსკისა (მოსკოვი) — თხელი სწორკუთხოვანი ფირფიტის კუმშვა დრეკადობის საზღვრის იქით და დოცენტების ა. გორგიძისა და ა. რუხაძისა (თბილისი)—დრეკადობის თეორიის ბრტყელი ამოცანის რიცხვითი ამოხსნის შესახებ.

საღამოს სხდომაზე მოსმენილ მოხსენებათა გარშემო აზრი გამოსთქვეს: პროფ. ი. ვეკუამ (თბილისი), პროფ. ს. მიხლინმა, პროფ. მ. ქელდიშმა, პროფ. დ. პანოვმა (მოსკოვი), დოც. გ. სავინმა (დნეპროპეტროვსკი) და დოც. ი. ხუხუნაიშვილმა (თბილისი).

კონფერენციის მეშვიდე, უკანასკნელი სხდომა შესდგება დღეს, დილის 11 საათზე.

საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის პლენუმი

(ტყიბული, „კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

ამ დღეებში ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის პლენუმი. პლენუმმა მოისმინა რაიკომის მდივნის ამხ. ნ. ბაიდაშვილის მოხსენება რაიკომის მუშაობის შესახებ.

ამხ. ბაიდაშვილის მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: ვ. კორძაძე, ლ. მარიახინი, ვ. ნანიკაშვილი, შ. დოლიძე, დ. ჩიკვაიძე, გრ. გორგიძე, აკ. კუბლაშვილი, პ. ბაქრაძე და ა. ქასრაშვილი. მომხსენებელი და მოკამათენი აღნიშნავდნენ, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ტყიბულის რაიონმა როგორც პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის, ისე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში სერიოზულ წარმატებებს მიაღწია.

საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მუშაობა პლენუმმა დამაკმაყოფილებლად სცნო, ხოლო პოლიტიკური ხაზი—სწორად.

პლენუმმა სამუშაოდან განთავისუფლა რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ნ. ბაიდაშვილი მისი საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში სამუშაოდ გადაყვანის გამო და რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობის აღმსრულებლად აირჩია ამხ. შ. ჭანუყვაძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა პროპაგანდის დარგში ამხ. ი. თავაძემ.

დ. საბელაშვილი

ტრაქტორების რემონტი

საქმიწსახკომის 1 თებერვლის ცნობებით

მტს-ები და მათი დირექტორები	უნდა შეკეთდეს	შეკეთებულია	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	ტრაქტორების კაპიტალური რემონტის გეგმის შესრულება პროცენტობით
ახალქალაქი — გ. ხიმონიანი	46	48	104,3	100
ოკამი — გ. ღარიბიანი	28	28	100	100
ბოგდანოვკა — ხ. ბაღდასარიანი	57	35	61,4	52,6
ახალციხე — გ. აივაზიანი	32	33	103,1	71,4
ადიგენი — ა. ნახაპეტოვი	14	14	100	100
აგარა — ა. მიქაძე	69	69	100	100
ოსიაური — ვ. ქველაძე	66	57	86,4	61,1
გორი — ე. მუკაშიანი	98	80	81,6	97
ახალსოფელი — კ. აბალაკი	66	43	65,2	76,5
კასპი — შ. ვარძელაშვილი	40	37	92,5	100
წითელქალაქი — ა. ზავრადაშვილი	37	35	94,6	61,5
სტალინირი — მოვ. დრ. აღმ. ბეკოევი	46	31	67,4	57,1
მცხეთა — კ. ქაჯაია	43	40	93	100
თბილისი — ა. მიგრიაული	42	39	92,9	88,9
თელეთი — ა. ბაზიარი	26	21	80,8	60
დუშეთი — გ. ჭალიძე	29	26	89,7	100
საგარეჯო — ა. ქემოკლიძე	52	40	76,9	80
სართიჭალა — ბ. რევაზოვი	25	20	80	100
ბორჩალო — გ. ასატუროვი	53	54	101,9	117,6
სადახლო — პ. მამედოვი	31	25	80,6	175
ლუქსემბურგი — ვ. ბელქანია	32	32	100	112,5
ყარაია — ნ. გონგაძე	52	46	88,5	75
გურჯაანი — ი. ბარბაქაძე	60	29	48,3	68,8
კაჭრეთი — ა. მეტრეველი	39	32	82,1	100
ულიანოვკა — მ. ალავერდაშვილი	51	51	100	90,9
წნორი — ი. ფეიქრიშვილი	63	66	104,8	105,3
წითელწყარო — მ. მაისურაძე	67	67	100	100
ალაზანი — ა. ჩიგილაშვილი	55	55	100	102,5
შირაქი — ა. კაჭარავა	43	42	97,7	92,9
თელავი — ა. მახარობლიძე	42	35	83,3	87,5
ახმეტა — ფ. ლოქაფიშვილი	26	9	34,6	12,5
ყვარელი — ვ. ტალახაძე	47	43	91,5	66,7
ლაგოდეხი — ს. გუდკოვი	70	55	78,6	52.4
ასურეთი — ე. ვანიევი	29	35	120,7	122,2
ბაშკიჩეთი — გ. ოვანოვი	37	29	78,4	75
თიანეთი — კ. ჭინჭარაული	21	19	90,5	66,7
წალკა — ნ. არუთინოვი	34	25	73,5	80
ქუთაისი — ე. ნემსიწვერიძე	26	24	92,3	83,3
სამტრედია — კ. გაბედავა	11	12	109.1	100
წულუკიძე — ნ. ხვიჩია	18	16	88,9	71,4
ვანი — მ. ცქიფურიშვილი	14	12	85,7	—
ზესტაფონი — შ. ბარბაქაძე	19	16	84.2	66,7
აბაშა — ბ. ბაკურია	15	16	106.7	100
ცხაკაია — ხ. მაქაცარია	26	21	80,8	57,1
გეგეჭკორი — ნ. მიქაძე	16	14	87,5	75
ზუგდიდი — ვ. ჩიქავა	34	25	73,5	50
ხობი — კ. ჩემინავა	21	18	85,7	60
წალენჯიხა — მ. კვარაცხელია	7	5	71,4	100
მახარაძე — დ. ჭეიშვილი	13	12	92,3	100
ლანჩხუთი — ნ. ლალაძე	17	17	100	—
გალი — მ. ხვიტია	19	12	63,2	—
ოჩამჩირე — დ. აშუბა	22	16	72,7	25
სოხუმი — რ. კოტრიკაძე	7	5	71,4	33,3
გუდაუთი — ნ. აბლოთია	6	2	33.3	0
სულ	**1.959**	**1.688**	**86,2**	**82,6**
1939 წლის 1/II იყო		1.351	93,6	87.2

○

1 თებერვლისათვის სულ რესპუბლიკაში კაპიტალურად შეკეთებული იყო 460 ტრაქტორი, მიმდინარე რემონტი კი გაუკეთდა 1.228 ტრაქტორს (მიმდინარე რემონტის გეგმა შესრულებულია 86,7 პროცენტით.

ტრაქტორების მიმდინარე რემონტის გეგმა არ შეუსრულებიათ ბოგდანოვკის, ოსიაურის, გორის, კასპის, ახალსოფლის, სტალინირის, მცხეთის, თბილისის, თელეთის, დუშეთის, საგარეჯოს, სართიჭალის, ბორჩალოს, სადახლოს, ლუქსემბურგის, ყარაიის, გურჯაანის, კაჭრეთის, ალაზნის, თელავის, ახმეტის, ლაგოდეხის, ბაშკიჩეთის, წალკის, ქუთაისის, ვანის, ზესტაფონის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის, მახარაძის, ოჩამჩირის და გუდაუთის მტს-ებს.


1939 წ. საბჭოთა კინომრეწველობამ
გამოუშვა 185.000.000 მეტრი აფსკი (185.000 კმ)

XX წელი საბჭოთა კინემატოგრაფიისა



„ხელოვნების ყველა დარგებს შორის კინო ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია“.

ვ. ი. ლენინი

„საბჭოთა ხელისუფლების ხელში კინო წარმოადგენს უდიდეს, ფასდაუდებელ ძალას“.

ი. ბ. სტალინი

„აქვს რა მასებზე სულიერი ზემოქმედების განსაკუთრებული შესაძლებლობანი, კინო ეხმარება მუშათა კლასს და მის პარტიას აღზარდონ მშრომელნი სოციალიზმის სულისკვეთებით, დარაზმონ მასები სოციალიზმისათვის საბრძოლველად, აამაღლონ მათი კულტურა და პოლიტიკური ბრძოლისუნარიანობა“.

ი. ბ. სტალინი

პირველი ნაბიჯები

საბჭოთა კინემატოგრაფიის 20 წლისთავზე უადგილო არ იქნება მოვიგონოთ ზოგიერთი ფრაგმენტები წარსულიდან.

ქართული კინემატოგრაფიის საქმე ჩამოყალიბდა მხოლოდმხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. თუ კინემატოგრაფიის რაიმე ჩანასახი იყო მანამდე, ის მხოლოდ კერძო პირებს ეკუთვნოდა. პირველი კინემატოგრაფისტი თბილისში იყო ვიღაც ივანიცკაია, რომელსაც მუშტაიდის ახლოს ჰქონდა კინო-თეატრი. იქ უჩვენებდნენ ერთმოქმედებიან ფილმებს, უმეტესად ასეთი შინაარსის ქრონიკებს: მატარებლის მოსვლა-წასვლა, გემის მოსვლა, დოღი, დიდ პირთა მოგზაურობა, პარადი და სხვ. ამ ივანიცკაიას გადასაღები აპარატიც ჰქონდა. იღებდნენ თბილისის ცხოვრებიდან პატარა ეპიზოდებს, როგორც ამბობდნენ, პორნოგრაფიულსაც.

იმ ხანებში თბილისში კინოს საქმეს განაგებდა ვიღაც ფრანგი გვარად პირონე, რომელიც პარიზიდან პატეს ფირმისაგან ღებულობდა პატარა სურათებს. მანვე თბილისში მოაწყო ატელიე, მოიწვია რეჟისორი ბარსკი და მხატვარი სიმოვი,

1916 წელს ერთმა კერძო პირმა მომმართა წინადადებით გადამეღო სურათი „ქრისტინე“ ნინოშვილის მოთხრობის მიხედვით. მას ამოძრავებდა „პატრიოტული გრძნობა“ და ფულის მოგების სურვილი.

1916 წელს ზაფხულში დავიწყეთ გადაღება. მე, რასაკვირველია, ბუნებას მივაშურე, რადგან არ ვიცოდი „მონტაჟის“ ოსტატობა. ჩემი გადაღებული კადრები გრძელ ეპიზოდებად მიდიოდა და ისიც შორ პლანზე ან მესამე პლანზე. ჩემი ოპერატორი სრულიად უვიცი გამოდგა და ჩემი მოთხოვნა, რომ ზოგიერთი რამ უფრო მსხვილად გადაეღო, უყურადღებოდ დასტოვა. ამაზე ჩვენ დიდი ჩხუბი მოგვივიდა და სოფ. აჭში (გურია) ოპერატორი თავისი აპარატით მაღლობიდან ძირს ჩამოვაგორე. დაბოლოს ჩემმა „ხაზეინმა“ შეგვარიგა. ამის შედეგად „ქრისტინეში“ ერთადერთი მსხვილი პლანიც გამოვიდა; მრავალი საჭირო კადრი სულ არ იყო. არ გამოვიდაო,—ასე მატყუებდა ოპერატორი. ალბად აპარატს ხანდახან ცარიელს აჩხაკუნებდა, რომ აფსკი შეენარჩუნებინა.

„ქრისტინეს“ გადაღება მხოლოდ 1917 წლის დასაწყისში გავათავე, გადავიღე სამი ნაწილი—ქრისტინეს ქალაქში ჩამოსვლა ნატალიასთან მისვლამდე, მეტი ვერ მოვასწარი. ქალაქის სცენები უჩემოდ იქნა გადაღებული. მე როსტოვსა და ბაქოში დავრჩი 1918 წლის ბოლომდე. „ქრისტინე“ ძალიან ჭრელი და სუსტი აღმოჩნდა, მაგრამ თავისი ხარჯი მაინც აინაზღაურა. აქედან სჩანს, რა დიდი სურვილი იყო მაშინ ქართულ საზოგადოებაში ეკრანზე თავისი ქვეყნის ცხოვრების ნახვისა.

ქართული კინემატოგრაფიის ზოგიერთი „ისტორიკოსი“ ამ სურათის გადაღებას მენშევიკების ხანას აკუთვნებს. ეს არ არის მართალი. კინოსა და თეატრისათვის მენშევიკები თავს არ იტკივებდნენ.

რაც შეეხება ნამდვილ კინემატოგრაფიას, ეს, როგორც ვთქვით, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო. პირონესეული ატელიე, აპარატურა და ყოველი ხელსაწყო-მოწყობილობა განათლების სახალხო კომისარიატს გადაეცა. მეც მიმიწვიეს, მაგრამ დირექციას ვერ შევეგუე და წავედი. იმ პერიოდში მუშაობდნენ ბეკ-ნაზაროვი, ბარსკი და პერესტიანი. ქართველმა საზოგადოებამ კარგად იცის ეს ხანა. ამ პერიოდის ფილმებია „არსენა ჯორჯიაშვილი“, „სურამის ციხე“, „სამი სიცოცხლე“, „უტუ მიქავა“ და სხვ. 1924 წელს სახკინმრეწვში მიმიწვიეს. წინადადება შევიტანე დამედგა რევოლუციური სურათი. სცენარიც ვიპოვე „მუშის შვილის“ სახელწოდებით, მაგრამ დირექციამ „ვინ არის დამნაშავე“ (ნ. ნაკაშიძის პიესის მიხედვით) დამადგმევინა ჩემივე სცენარით. შემდეგ დავდგი „ხანუმა“, „ორი მონადირე“ და „ჯანყი გურიაში“.

საქართველოს კინომრეწველობა ნამდვილი აყვავების გზაზე დადგა მხოლოდ ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** უშუალო მზრუნველობით, მისი ხელმძღვანელობით ქართული კინემატოგრაფია უმაღლეს საფეხურზე ავიდა და თავისი ნაწარმოებებით ერთი პირველთაგანი გახდა საბჭოთა კავშირში. გაიზარდნენ ნიჭიერი კადრები. აშენდა კინომრეწველობის ძლიერი ბაზა. აღიზარდნენ მსახიობები. გადაღებულ იქნენ შესანიშნავი ფილმები. ამ პერიოდის კინოხელოვნების დაგვირგვინება იყო მ. ჭიაურელის შესანიშნავი სურათი—„დიადი განთიადი“.

დღეს ქართულ კინემატოგრაფიას დიდი ამოცანები აქვს გადასაჭრელი. მან უნდა გვიჩვენოს ჩვენი ქვეყნის შესანიშნავი გმირები, რომლებიც მსოფლიოს აკვირვებენ **ლენინ-სტალინის** პარტიისათვის თავდადებით. მან უნდა ასახოს ახალი თვალწარმტაცი, მრავალფეროვანი ცხოვრება, რომლისდაგვარი ჯერ ისტორიას არ ახსოვს. საქართველოს მშრომელნი ელიან სტალინური ეპოქის შესაფერ კინოფილმებს.

ალ. წუწუნავა

რესპ. სახალხო არტისტი, ორდენოსანი.

„ნაპერწკლიდან“

ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** შესანიშნავმა შრომამ „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ შთააგონა საქართველოს საბჭოთა ხელოვნების ოსტატებს მრავალი საინტერესო ნაწარმოების შექმნა. სახვითს ხელოვნებაში, თეატრსა და მუსიკაში აისახა იმ გმირულ ბრძოლის დაუვიწყარი ფურცლები, რომელსაც ბოლშევიკური პარტია და მისი დიდი ბელადები **ლენინი და სტალინი** აწარმოებდნენ მეფისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ, მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნისტული პარტიების წინააღმდეგ, მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის.

შემოქმედებითი გზნებით გამსჭვალული საქართველოს კინო-სტუდიის კოლექტივი ამჟამად ემზადება იმისათვის, რომ შექმნას ისტორიული ფილმი „ნაპერწკლიდან“, რომელიც ასახავს ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების და ამხანაგი სტალინის ბრძოლის იმ პერიოდს, როცა მათ უხდებოდათ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში ლენინურ-ისკრული მიმართულების დანერგვა და განმტკიცება.

მოქმედება მოიცავს პერიოდს 1901 წლიდან 1905 წლამდე.

სცენარის ავტორებია ორდენოსანი დრამატურგი **შალვა დადიანი და ნ. შენგელაია.**

სცენარის დასაწყისი მოგვითხრობს თბილისის მუშათა მოძრაობის პირველი რევოლუციური ნაბიჯების შესახებ. იგი მთავრდება ლენინისა და სტალინის ისტორიული შეხვედრით ბოლშევიკური პარტიის კონფერენციაზე ტამერფორსში.

ჩვენ გვასულდგმულებს და შემოქმედებითს ხალისს გვგვრის ამხანაგ ლ. ბერიას სიტყვები იმის შესახებ, რომ „ჩვენი პარტიის ისტორიის შესწავლა და შემეცნება პარტიის წევრთა და კომკავშირელთა მარქსისტულ-ლენინური აღზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალებაა“. ამ სიტყვებით ვხელმძღვანელობთ ჩვენ და იმედი გვაქვს, რომ მივცემთ საბჭოთა მაყურებელს ისეთ ნაწარმოებს, რომელიც მხატვრული ხერხებით გახსნის საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის ცალკეულ ამაღელვებელ ეტაპებს და ასახავს მისი დიდი ბელადების **ლენინისა და სტალინის** ბრძოლას მუშათა განთავისუფლებისათვის.

ნიკოლოზ შენგელაია

ორდენოსანი რეჟისორი, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

„სადარაჯოსთან“

საბჭოთა კინემატოგრაფიის 20 წლისთავს თბილისის კინოსტუდია ხვდება მთელი რიგი ახალი ნაწარმოებებით. წელს სტუდია გამოუშვებს 5 ფილმს. მათ შორის არის კინოფილმი „სადარაჯოსთან“.

ფილმი ასახავს საბჭოთა ხალხის თავდადებასა და უსაზღვრო სიყვარულს სოციალიზმის ქვეყნისადმი. მაგრამ ჩვენი ქვეყანა უყვარს არა მარტო საბჭოთა ხალხს, არამედ წითელ საზღვარს იქით მცხოვრებ მშრომელებსაც. განსაკუთრებით მათ, ვისაც საშუალება აქვს გაეცნოს ამა თუ იმ გზით საბჭოთა კავშირის მიღწევებს. ამ სიყვარულით აღფრთოვანებულნი ნამდვილი გმირობისა და თავდადების შესანიშნავ მაგალითებს გვიჩვენებენ საბჭოთა კავშირის შვილები და უცხოელი მეგობრები. ამ თავდადებასა და სიყვარულს ასახავს ახალი ფილმი.

ფილმის სცენარი ეკუთვნის ი. მოსაშვილსა და ლ. ესაკიას, მუსიკა ალ. მაჭავარიანს და მხატვრობა — მირზაშვილს. სურათს დგამს რეჟ. ლ. ესაკია, ოპერატორია ა. დიღმელი. მთავარ როლებს ასრულებენ: ე. ჩერქეზიშვილი, მ. ჯაფარიძე, ნ. ჩიქოვანი, ე. აფაქიძე, ა. კვანტალიანი, ლ. რომანოვი, ა. ბილანიშვილი. მ. მგელაძე, ვ. ბალანჩივაძე.

კადრი ლენინგრადის კინოსტუდიის ფილმიდან „თოფიანი კაცი“.

საპატიო ამოცანა

მოწინავე საბჭოთა ადამიანის რეალური ასახვა, მისი შესანიშნავი განცდების მხატვრული სიმართლით გადმოცემა კინოაქტიორის საპატიო ამოცანაა. ამჟამად მე ვთამაშობ ფილმში „ქალი ხიდობნიდან“, რომლის სცენარის ავტორია დრამატურგი პ. კაკაბაძე. ამ სურათში ვასრულებ სტახანოველი ქალის — გვირისტინეს როლს. იგი ძალიან მიტაცებს. მასში მსურს განვახორციელო მხატვრული სახე ახალგაზრდა საბჭოთა ქალიშვილებისა, რომლებიც პარტიისა და მთავრობის სიყვარულითა და მზრუნველობით გარემოცულნი გვიჩვენებენ შრომისადმი პატიოსან დამოკიდებულებას, წინაურდებიან შრომის ფრონტზე და ჩვენი ქვეყნის სახელოვანი ადამიანები ხდებიან.

1940 წლისათვის თბილისის კინოსტუდიას დასახული აქვს სამი წამყვანი ფილმის შექმნა. ესენია—„ფიცი“ (რეჟისორი—ორდენოსანი მიხ. ჭიაურელი), „ნაპერწკლიდან“ (რეჟისორი—ორდენოსანი ნ. შენგელაია) და „გიორგი სააკაძე“ (რეჟისორი—ორდენოსანი ს. დოლიძე). გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს ამ ფილმების სცენარებზე. რომელიმე ამ ფილმში როლის მიღება ყველაზე სასიხარულო მოვლენა იქნებოდა ჩემთვის. ვეცდები ჩავაქსოვო მასში მთელი ჩემი შემოქმედებითი ძალა და ენერგია.

ნატო ვაჩნაძე

მსახიობი, ორჯერ ორდენოსანი.

სახელოვანი წლისთავისათვის

ქართულმა საბჭოთა კინოხელოვნებამ განვითარების ბრწყინვალე გზები განვლო, ხოლო უმაღლეს წერტილს მან მიაღწია მაშინ, როდესაც გენიალური ბელადების ლენინისა და სტალინის ბრწყინვალე სახეები ასახა ორდენოსანმა რეჟისორმა მ. ჭიაურელმა ფილმში „დიადი განთიადი“.

ამჟამად მე რეჟ. დ. რონდელის ახალ ფილმში „კოლხიდის ჩირაღდნები“ ვასრულებ ინჟინერ ჯაფარიძის როლს. ჩემი გმირი არის საბჭოთა ხელისუფლების მიერ აღზრდილი ადამიანი. იგი, როგორც ხალხის ერთგული შვილი იბრძვის პარტიისა და მთავრობის მითითებათა განსახორციელებლად კოლხიდის ჭაობების ამოშრობის საქმეში. ჯაფარიძე მთლიანად დადებითი ტიპია. მე დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდები ამ როლს. არაფერს ვზოგავ იმისათვის, რომ განვსახიერო იგი სრულყოფილად და რეალისტურად. ეს იქნება ჩემი საჩუქარი კინემატოგრაფიის 20 წლისთავისადმი.

ს. ზაღაშვილი

ორდენოსანი კინომსახიობი.

საქართველოს კინემატოგრაფიის ამოცანები

ა. გიგოშვილი

თბილისის კინო-სტუდიის დირექტორი

კომუნისტური აღზრდის, აგიტაციისა და პროპაგანდის ერთი უძლიერესი იარაღთაგანია საბჭოთა კინემატოგრაფია, ხელოვნების ეს ყველაზე მნიშვნელოვანი და მასობრივი დარგი. მის წინაშე რთული და საპატიო ამოცანები დგას. მან უნდა შესძლოს მუშაობის ისე გარდაქმნა, რომ ხელოვნების ფრონტზე ბოლშევიკურად განახორციელოს საკ. კ. პ. (ბ) მე-18 ყრილობის ისტორიული დადგენილებანი.

საქართველოს კინემატოგრაფია 1938-39 წლებში ერთგვარი ჩამორჩენილობის შემდეგ მიმდინარე წლიდან იწყებს ფართო შემოქმედებითს მუშაობას. 1938 წელს ჩვენმა კინომრეწველობამ გამოუშვა მხოლოდ ერთი ფილმი — „დიადი განთიადი“, 1939 წელს კი ორი. 1940 წელს თბილისის კინოსტუდია გამოუშვებს 5 ფილმს: „სადარაჯოსთან“, სცენარი ი. მოსაშვილისა და ლ. ესაკიასი, რეჟისორი ლ. ესაკია; „კოლხეთის ჩირაღდნები“, სცენარი გ. ჩიქოვანისა, რეჟისორი დ. რონდელი; „მეგობრობა“, სცენარი კ. ლორთქიფანიძისა და ს. დოლიძისა, რეჟისორი ს. დოლიძე; „ქალიშვილი ხიდობნიდან“, სცენარი პ. კაკაბაძისა და სულაკაურისა, რეჟისორი დ. ანთაძე; „ჩინებული ბიჭი“, სცენარი ა. ბელიაშვილისა, რეჟისორი შ. ბერიშვილი. ქრონიკალური და მეცნიერული ფილმების გამოშვება ორჯერ გადიდდება.

ყველა ეს ფილმი ძირითადად გამოვა 1940 წლის პირველ ნახევარში. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ისეთი დიდი კინოფილმების სცენარებზე, როგორიცაა: „ფიცი“, სცენარის ავტორები გ. ცაგარელი, მ. ჭიაურელი, პერესტიანი; „ნაპერწკლიდან“, სცენარი შ. დადიანისა და ნ. შენგელაიასი; „გიორგი სააკაძის“ სცენარს სწერს გ. ლეონიძე, ამავე თემაზე მუშაობს მწერალი ანტონოვსკაია. ეს ფილმები გამოვა 1941 წელს.

კ. გამსახურდია მუშაობს დიდ ისტორიულ თემაზე—„დავით აღმაშენებელი“, ხოლო პ. კაკაბაძე—კომედიურ სცენარზე. სცენარებზე მუშაობენ აგრეთვე ახალგაზრდა კინოდრამატურგები სამსონია და გ. ჩიქოვანი.

ისე როგორც საბჭოთა საქართველოს მთელს ცხოვრებაში, კინემატოგრაფიაშიც ჩვენ მოვიპოვეთ უდიდესი გამარჯვებანი ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** ბოლშევიკური ხელმძღვანელობით. ამ პერიოდში საქართველოს კინომრეწველობამ გამოუშვა შესანიშნავი ფილმები: „უკანასკნელი მასკარადი“, „არსენა“, „დარიკო“, „ფრთოსანი მღებავი“, „დაკარგული სამოთხე“, „ნარინჯის ველი“, „დიადი განთიადი“ და სხვ.

საქართველოს კინემატოგრაფიამ გამოზარდა თვალსაჩინო შემოქმედებითი ძალები: რეჟისორები—მ. ჭიაურელი, ლ. ესაკია, ს. დოლიძე, ნ. შენგელაია, დ. რონდელი, შ. ბერიშვილი, კ. მიქაბერიძე, მაკაროვი; ოპერატორები — დიღმელოვი, პოლიკევიჩი, კანდელაკი, აფაქიძე, მურავლიოვი; აქტიორები — მ. გელოვანი, ნ. ვაჩნაძე, ც. წუწუნავა, ს. ჟორჟოლიანი, ს. ზაღაშვილი, დაუშვილი, კ. მაჭარაძე, ხინთიბიძე, ხოტივარი, თოიძე, ციციშვილი, წეროძე; მხატვრები—ვაწაძე, მანაგაძე, გოცირიძე, მირზაშვილი, გაბაშვილი, ლებანიძე; ახალგაზრდა შემოქმედებითი კადრები — ჯალიაშვილი, მანაგაძე, გედევანიშვილი, პიპინაშვილი, ვისოცკი გიგოლაშვილი, გძელიშვილი, თარხნიშვილი, შველიძე, ნაგორნი, არზუმანოვი. საქართველოს კინემატოგრაფიამ შესძლო აგრეთვე მუშაობაში ჩაება მწერლები — შ. დადიანი, ი. მოსაშვილი, ლ. ქიაჩელი, გ. ლეონიძე, გ. ცაგარელი, პ. კაკაბაძე, კ. ლორთქიფანიძე, დ. შენგელაია, კ. გამსახურდია, ა. ბელიაშვილი და სხვები; კომპოზიტორები — გ. კილაძე, ი. გოკიელი, ა. ბალანჩივაძე, შ. მშველიძე, რ. გაბიჩვაძე და ა. მაჭავარიანი. ჩვენს წინაშე ახლა ასეთი ამოცანაა: განვამტკიცოთ ეს მიღწევები და კიდევ უკეთესად წარვმართოთ საქმე, რომ შევქმნათ დიდი მხატვრული ღირებულების კინონაწარმოებნი.

1940 წლისათვის კინოსტუდია სავსებით უზრუნველყოფილია სცენარებით. მზადდება სცენარები აგრეთვე 1941 წლისათვის. მაგრამ საერთოდ სცენარების საქმე თბილისის კინოსტუდიაში ვერ არის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში. მაღალი მხატვრული ღირებულების კინო-ფილმების გამოშვება დამოკიდებულია კარგ სცენარებზე. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ჩავაბათ ჩვენი მწერლები და სცენარისტები ამ მუშაობაში. ამისთვის თბილისის კინოსტუდიაში შექმნილია ყოველგვარი პირობები: მოწყობილია კონსულტაცია, ავტორებს ეძლევათ შემოქმედებითი მივლინებები, ისინი უზრუნველყოფილი არიან მატერიალურად და სხვ. თემების არჩევანი კი ერთობ მდიდარია. ამხანაგ სტალინის ბრძნული მოხსენება და ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებები მე-18 პარტყრილობაზე თემების დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენენ. საბჭოთა ინტელიგენცია, ადამიანთა კომუნისტური აღზრდა, პატრიოტიზმი, გმირობა, სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სტახანოველები, პარტიული ორგანიზაციების მუშაობა, ოჯახის საკითხები, ადამიანის სოციალისტურად გარდაქმნა — ყველაფერი ეს ძვირფასი თემებია ჩვენი კინოფილმებისათვის.

როგორც ვხედავთ, საბჭოთა ქვეყნის ცხოვრება მდიდარი და მრავალფეროვანია. თვით ცხოვრება მოითხოვს ჩვენგან, რომ მხატვრულად ავსახოთ ეს მრავალფეროვნება, სოციალისტური სინამდვილე, ვუჩვენოთ სოციალიზმის გმირი მშენებლები ეკრანზე. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთი მწერალი და რეჟისორი არ სწავლობს ჩვენს სინამდვილეს, არ იცნობს იმ ადამიანებს, რომლებიც თავისი ნაწარმოების გმირებად უნდა გამოიყვანოს. ამის საუკეთესო დამადასტურებელია ჩვენი კინოსტუდიის ორი უკანასკნელი ფილმი — „სამშობლო“, სცენარი გ. მდივნისა და ნ. შენგელაიასი, რეჟისორი. ნ. შენგელაია და „დაგვიანებული საქმრო“, სცენარი ქარსანიძისა და გოგოძის, რეჟისორი კ. მიქაბერიძე. ამ გაკვეთილს ჩვენმა სტუდიამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს. ამ ნაკლოვანების გადალახვაში უნდა დაგვეხმარონ მწერლები.

ჩვენს ნაციონალურ კინემატოგრაფიას უნდა ჰქონდეს შესაფერისი ნაციონალური თავისებურება. ხელოვნების ყოველ ნაწარმოებს ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური შინაარსი აქვს, მაგრამ ფორმა უნდა მივცეთ ნაციონალური.

თბილისის კინოფაბრიკა აძლიერებს თავის ტექნიკურ შეიარაღებას. ეს კიდევ უფრო გაზრდის ჩვენს შესაძლებლობებს. საქართველოს კინემატოგრაფიას აქვს ყოველგვარი პირობა იმუშაოს უკეთ, ვიდრე წინა წლებში. ჩვენმა მწერლებმა და კინომუშაკებმა უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციონ ხარისხის ამაღლებას, რომ შევძლოთ დიადი სტალინური ეპოქის შესაფერი მხატვრული ფილმების გამოშვება.

კადრი ლენინგრადის კინოსტუდიის ფილმიდან (ზევით): „პეტრე პირველი“ (მეორე სერია) და კადრები თბილისის კინოსტუდიის ფილმებიდან — „დიადი განთიადი“, „კოლხიდის ჩირაღდნები“, „მეგობრობა“.

საბჭოთა კინომრეწველობა პირველი სტალინური ხუთწლედის პირმშოა. ამჟამად სოციალისტური ინდუსტრია უშვებს უმაღლესი ხარისხის გადასაღებ, გამანათებელ და საპროექტო აპარატურას. 1930 წელს ჩვენ არ გვქონდა არცერთი მეტრი საკუთარი კინოაფსკი. 1936 წელს ჩვენმა ქვეყანამ გამოუშვა 115.161.000 მეტრი აფსკი და აფსკის წარმოებით მსოფლიოში მესამე ადგილი დაიკავა. ამის შემდეგ კინოაფსკების გამოშვება კიდევ უფრო გაიზარდა: 1937 წელს გამოშვებულ იქნა 132 მილ., 1938 წ.—159 მილ. და 1939 წელს—185 მილიონი მეტრი საბჭოთა კინოაფსკი.

ახალი გამარჯვებები

მიმდინარე წელს საბჭოთა კინემატოგრაფიას თავისი არსებობის 20 წელი შეუსრულდა. ამ 20 წლის განმავლობაში გაიზარდა და განმტკიცდა საბჭოთა კინოხელოვნება, გამოიბრძმედა და დავაჟკაცდა ქართული საბჭოთა კინოხელოვნებაც. გაიზარდნენ და დაწინაურდნენ ქართული კინოხელოვნების ნაციონალური კადრები. თბილისის კინოსტუდიამ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოუშვა მთელი რიგი მაღალხარისხოვანი მხატვრული ნაწარმოებები, რომლებითაც იგი ჩადგა საბჭოთა კავშირის მოწინავე კინოსტუდიების რიგებში.

სტუდიასთან ამჟამად ჩამოყალიბებულია შემოქმედებითი სექცია, რომლის მიზანია შემოქმედებითი მუშაკების იდეურ-პოლიტიკურ-კულტურული დონის და მხატვრულ-ტექნიკური ოსტატობის ამაღლება.

სექციის ამოცანას შეადგენს აგრეთვე სათავეში ჩაუდგეს შემოქმედებითს კოლექტივებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებას, იბრძოლოს ფილმების წარმოებაში ყოვნის დროისა და თვითღირებულების შემცირებისა და გეგმების ვადაზე ადრე შესრულებისათვის. სექციის მოვალეობაა დაეხმაროს შემოქმედებითს კოლექტივებს მათში შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად და ხელი შეუწყოს ახალგაზრდა კადრების წამოწევას.

ფართო გეგმები აქვს დასახული სექციას შემდგომი მუშაობისათვის. შემოქმედებითი მუშაკებისათვის ჩატარებული იქნება ლექციები და საუბრები, რაც ხელს შეუწყობს მათ სოციალისტური რეალიზმის დაუფლების საქმეში. სექცია თვალყურს ადევნებს მიღებული სცენარების მაღალხარისხიანობას, მიიზიდავს მწერალთა და კინოდრამატურგთა კადრებს და დაამყარებს მათთან მჭიდრო კავშირს. სექციის სამუშაო გეგმაში შეტანილია საბჭოთა კინემატოგრაფიის მოწინავე ოსტატთა გამოცდილების გაზიარება. ამ მიზნით ლენფილმის კინოსტუდიიდან მოწვეული არიან რეჟისორები ორდენოსანი ფ. ერმლერი და ს. გერასიმოვი, რომლებიც წაიკითხავენ მოხსენებას თავიანთ მუშაობის შესახებ. მოხსენების შემდეგ საჯაროდ განხილული იქნება მათივე ნამუშევრები—„დიდი მოქალაქე“ (ერმლერი) და „მასწავლებელი“ (გერასიმოვი).

სექციის სისტემატური და თანმიმდევრული მუშაობით სტუდიის შემოქმედი მუშაკების კოლექტიური შრომით, დირექციასთან მჭიდრო კავშირში, თბილისის კინოსტუდიის კოლექტივი შესძლებს თავი დააღწიოს გარღვევებს და ნაკლოვანებებს. სტუდია შესძლებს იმ ამოცანების წარმატებით შესრულებას, რომლებსაც უყენებენ პარტია და ხელისუფლება საბჭოთა კინოხელოვნებას.

დ. რონდელი

თბილისის კინოსტუდიასთან არსებული შემოქმედებითი სექციის ბიუროს თავმჯდომარე.

ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ა. პიიპის სიტყვა

ტალინი, 3 თებერვალი (საკდესი). ტარტუს ზავის 20 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით, ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, პროფესორმა ა. პიიპმა გუშინ საღამოს სიტყვა წარმოსთქვა რადიოთი.

მან აღნიშნა, რომ ესტონეთ-საბჭოთა კავშირის სამშვიდობო ხელშეკრულება ქვაკუთხედია ესტონეთის საგარეო პოლიტიკისა, რომლის საშუალებითაც ესტონეთის ხალხმა დამოუკიდებლათ დაამყარა თავისი ურთიერთობა აღმოსავლეთის დიდ მეზობელთან. პიიპმა დარწმუნებით ილაპარაკა საბჭოთა კავშირ-ესტონეთის მოლაპარაკების მსვლელობაზე, რომელიც 20 წლის წინათ მოხდა ტარტუში.

„ესტონეთის მთავრობა, — განაცხადა პიიპმა, — ცდილობდა შეენარჩუნებინა კონტაქტი საბჭოთა მთავრობასთან, განსაკუთრებით ლენინთან და სტალინთან. უკვე 1919 წლის 16 ნოემბერს დაიწყო ქალაქ ტარტუში მოლაპარაკება ესტონეთის, ლატვიასა და ლიტვასა და საბჭოთა კავშირის მთავრობას შორის ტყვეების გაცვლის შესახებ. 19 ნოემბერს ეს შეთანხმება უკვე ხელმოწერილი იყო.

თავდაპირველად განზრახული იყო ზავის დადება საბჭოთა რუსეთსა და ბალტიისპირა ყველა ქვეყანას შორის, ხოლო როცა ეს არ მოხერხდა, ესტონეთმა დამოუკიდებლად დაიწყო მოლაპარაკება. ესტონეთის გაბედული და გონიერი ნაბიჯი გამართლდა. ზავი დადებულ იქნა, შეთანხმება მიღწეული იყო ყველა სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხში“.

უნდა აღინიშნოს, — განაცხადა შემდეგ პიიპმა, — რომ საბჭოთა რუსეთი დათანხმდა 15 მილიონი მანეთი მიეცა ესტონეთისათვის რუსეთის ოქროს ფონდიდან, და იკისრა რუსეთის სახელმწიფო ვალის ის ნაწილი, რომელიც წილად ხვდებოდა ესტონეთს. ესტონეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის ეკონომიური ურთიერთობა მაქსიმალური შეღავათის პრინციპზე მყარდებოდა, ამასთან ესტონეთი უფლებას აძლევდა საბჭოთა რუსეთს ესარგებლნა ესტონეთის ნავსადგურებით. სხვანაირად რომ ვთქვათ, ესტონეთმა გადასწყვიტა, რომ მას არა სურდა ბარიერად გადაქცეულიყო დასავლეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის, რასაც განსაკუთრებით ცდილობდნენ პარიზის სამშვიდობო კონფერენციის მონაწილენი. ესტონეთ-რუსეთის სამშვიდობო ხელშეკრულებას მნიშვნელობა აქვს არა მარტო ამ ორი მხარისათვის, რომელიც შეთანხმებას სდებდა. მას მსოფლიო მნიშვნელობა აქვს. ეს ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთის ირგვლივ დამყარებული ბლოკადის გარღვევისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო. ლენინის შეფასებით, ტარტუს სამშვიდობო ხელშეკრულებამ სარკმელი გაუჭრა ევროპისაკენ ჩვენს აღმოსავლეთელ მეზობელს. ამავე დროს ხელშეკრულებამ მთელს მსოფლიოს დაანახვა, რომ საბჭოთა მთავრობა მტკიცეა და ისეთი მთავრობაა, რომელსაც სხვა სახელმწიფოებმა ანგარიში უნდა გაუწიონ და რომელთანაც შესაძლებელია ნდობის ღირსი ხელშეკრულებების დადება.

არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ესტონეთმა ყველა ქვეყნებს შორის პირველმა დასდო სამშვიდობო ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთთან, და მასთან იმ პერიოდში, როცა დასავლეთის სახელმწიფოები საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ინტერვენციასა, და ბლოკადას აწარმოებდნენ. ევროპის სახელმწიფოები უარყოფითად აფასებდნენ საბჭოთა რუსეთთან ჩვენს მოლაპარაკებას. საფრანგეთის სამხედრო მისიის მეთაურმა, გენერალმა ეტიევანმა, სასტიკი პროტესტი გამოუცხადა ესტონეთის მთავრობას, მაგრამ ესტონეთის მთავრობა, რომელსაც ი. ტენისონი მეთაურობდა, დარწმუნებით და ენერგიულად იცავდა თავის, როგორც სუვერენული სახელმწიფოს უფლებებს, კერძოდ, უფლებას, — ეწარმოებინა თავის აღმოსავლეთელ მეზობელთან მოლაპარაკება ომის შეწყვეტის შესახებ. ესტონეთი სწორად მოიქცა. ესტონეთის მთავრობას მხარი დაუჭირა არმიამ გენერალ ლაიდონერის მეთაურობით და მთელმა მოსახლეობამ. გასული 20 წლის განმავლობაში ესტონეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის უაღრესად მეგობრული ურთიერთობა იყო, და ეს ურთიერთობა ასეთივე დარჩა აქამდე.

1929 წელს ესტონეთმა საბჭოთა კავშირთან დასდო მტკიცე სავაჭრო ხელშეკრულება, ხოლო 1932 წელს — პაქტი თავდაუსხმელობის შესახებ, და ამ ხელშეკრულებებით არსებითად შეავსო ტარტუს სამშვიდობო ხელშეკრულება. ესტონეთმა ანგარიში გაუწია საბჭოთა კავშირის გაძლიერებულ საზღვაო ფლოტის მოთხოვნილებებს და თავდაუსხმელობის შესახებ საბჭოთა კავშირსა და ესტონეთს შორის დადებული პაქტის საფუძველზე იჯარით მისცა ზოგიერთი ბაზა.

დარწმუნებული ვართ, — სთქვა შემდეგ პიიპმა, — რომ ურთიერთ პატივისცემისა და ნდობის სულისკვეთება, რომელიც ახასიათებდა საბჭოთა კავშირის და ესტონეთის ურთიერთობას 20 წლის განმავლობაში, შენარჩუნებული იქნება. ამით ჩვენ შევძლებთ მთელ მსოფლიოს დავანახვოთ, რომ დიდ და პატარა სახელმწიფოებს შორის მჭიდრო ურთიერთობა შეიძლება ემყარებოდეს არა ძალას და დამორჩილებას, არამედ ნდობასა და ურთიერთმხარდაჭერას ხალხთა კეთილდღეობის ასამაღლებლად და მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად.

ევროპაში კვლავ მძვინვარებს დიდი ომის ხანძარი, რომლის გავლენას არც ჩვენ დავუტოვებივართ ხელშეუხებელი. იზრდება სიძნელეები, განსაკუთრებით ეკონომიურ დარგში. მაგრამ ჩვენ მშვიდად და ურყევად უნდა ავიტანოთ ეს სიძნელეები, უნდა განვამტკიცოთ ჩვენი ხალხის სასიცოცხლო ნებისყოფა და ყველაზე უფრო მაღლა უნდა დავაყენოთ ერთსულოვნად ჩვენი სახელმწიფოს ინტერესები.

შვეციის პრესა თეთრფინეთის მდგომარეობის შესახებ

სტოკჰოლმი, 3 თებერვალი (საკდესი). რამდენიმე დღის წინათ გაზეთმა „აფტონბლადეტმა“ მოათავსა ამერიკის სამხედრო კორესპონდენტის რობერტ ლოუს საუბარი მანერჰაიმის ადიუტანტთან. ლოუს შეკითხვაზე, თუ რამდენ ხანს გაუძლებს ფინეთი ომს, ადიუტანტმა შემდეგი ანეგდოტით უპასუხა: „ერთი ამერიკელი ცათამბჯენიდან გადმოვარდა. მე-20 სართულს რომ დაუპირდაპირდა, გადმოვარდნილმა ფანჯარაში თავისი შეშინებული მეგობარი დაინახა. გადმოვარდნილმა დასამშვიდებლად დაუძახა: „ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდისო“.

ფინეთის მდგომარეობა, — დაამთავრა თავისი არაკი ადიუტანტმა, — ისეთივეა, როგორც ამ გადმოვარდნილი ამერიკელის მდგომარეობა.

თეთრფინელების წარმომადგენლები საზღვარგარეთ, და აგრეთვე შვეციის პრესა მოუწოდებენ მსოფლიოს, რომ დაუყოვნებლივ აღმოუჩინონ დახმარება მანერჰაიმს.

31 იანვარს ფინეთის პარიზელმა ელჩმა განუცხადა ინგლისისა და ამერიკის გაზეთების კორესპონდენტებს, რომ „ჩვენ განწირული ვართ, თუ დაუყოვნებლივ არ დაგვეხმარებიან. სასწაულები მომხდარა, მაგრამ არ შეიძლება მოველოდეთ, რომ ეს სასწაულები დაუსრულებლივ განმეორდება“.

სამი დღის წინათ ფინეთის გაზეთი „სუომენ სოსიალიდემოკრატი“ შემზარავი ხმით გაჰკიოდა თეთრფინელებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ და პირველ რიგში დიდი მასშტაბის სამხედრო დახმარების შესახებ. „მორალური მხარდაჭერას, — სწერდა გაზეთი, — შეუძლია მხოლოდ მოაშუშოს ის ჭრილობები, რომლებსაც ჩვენზე უფრო ძლიერი ძალა გვაყენებს. მაგრამ ეს საკმარისი არ არის იმისათვის, რომ დავამარცხოთ ეს ძალა“.

თეთრფინელთა ხელისუფლება სკანდინავიის, დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში მრავალ აგიტატორს ჰგზავნის. შვეციაში საგასტროლოდ არის ჩამოსული თეთრფინეთის სეიმის წევრი ფრიჩი, რომელიც საკმარისად ცნობილია აქ და შვეციის ბურჟუაზიულ წრეებთან არის დაკავშირებული. თავისი ერთერთი გამოსვლის დროს ფრიჩმა განაცხადა, რომ ფინეთის მთელმა არმიამ თავისი რეზერვები ამოსწურა და თითქმის სრულიად გამოფიტა ძალა. „ჩვენ, — განაცხადა მან, — პირველ რიგში პირობები უნდა შევქმნათ ჩვენი ჯარის შესაცვლელად და ერთ კვირას მაინც უნდა დავასვენოთ ჩვენი ჯარისკაცები ასეთი არაადამიანური დაძაბულობის შემდეგ. ცხადია, რომ რამდენიმე ათასი კაცი ვერაფერს გვიშველის“.

მანერჰაიმის ხროვის წარმომადგენლები აღარა კმაყოფილდებიან „მოხალისეთა“ გაგზავნის მოთხოვნით. ისინი აცხადებენ, რომ „ფინეთს სჭირდება ნამდვილი დიდი გვარდია, რომელიც შესძლებს შესცვალოს ყველა თუ არა, ყოველ შემთხვევაში დაღლილ და ძლიერ დაზარალებულ ნაწილთა უმრავლესობა“.

შვედური გაზეთების კორესპონდენტებმა, რომლებიც აქამდე მხოლოდ თეთრფინელთა „გამარჯვებების“ შესახებ სწერდნენ, უეცრად ერთხმად დაიწყეს ყვირილი ფინეთის არმიის დაღლილობის შესახებ. რეაქციულ გაზეთ „ნიუა დაგლიგტ ალეჰანდას“ თანამშრომელმაც კი, რომელიც მეტად ცნობილია თეთრფინელებისადმი თავისი სიმპატიებით, გამოაქვეყნა სტატია, რომელსაც სხვა არაფერი შეიძლება ეწოდოს, თუ არა კივილი დახმარების შესახებ. „ფინეთის არმიამ, — სწერს ის, — დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს გამოძინებისა და დასვენების შესაძლებლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია კატასტროფა მოხდეს“.

პროვინციულ გაზეთ „სიუდსვენსკა დაგბლადეტ სნელპოსტენის“ კორესპონდენტი, რომელმაც შემოიარა ჩრდილოეთის ფრონტი, მოგვითხრობს, რომ თეთრფინელთა ჯარში „ნერვების უმაგალითო დაძაბულობაა“ და რომ ამ დაძაბულობას აუცილებლად მოჰყვება აფეთქებაო. იგივე კორესპონდენტი გადმოგვცემს ფაქტებს, რომლებიც ახასიათებენ ფრონტელთა და ზურგის მცხოვრებთა დაძაბულ ურთიერთობას.

გაზეთ „სვენსკა დაგბლადეტის“ კორესპონდენტი, აწერს რა თეთრფინეთში არსებულ მდგომარეობას, მთელ იმედს სასწაულზე ამყარებს, თუმცა ფიქრობს, ახლა მარტო სასწაულები საკმარისი აღარ არისო.

ასეთსავე, თეთრფინელებისათვის სრულიადაც არა სახარბიელო დასკვნამდე მიდის თავის შემაჯამებელ მოწინავე სტატიაში გაზეთ „დაგენს ნიუჰეტერიც“.

ცნობებს თეთრფინეთში არსებული დაძაბული მდგომარეობის შესახებ ყველა გაზეთი იყენებს იმისათვის, რომ გასწიოს აგიტაცია თეთრფინელებისათვის დაუყოვნებლივ და ფართო დახმარების აღმოსაჩენად. გაზეთი „დაგენს ნიუჰეტერი“ იძულებულია მწუხარებით აღნიშნოს, რომ „დიდი სახელმწიფოები არც ისე ჩქარობენ დახმარებას, რის შესახებაც ისინი უხვად იძლეოდნენ დაპირებას. გაზეთი აღნიშნავს, რომ განსაკუთრებით დიდი შეშფოთება გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური წრეების უცნაურმა მოქმედებამ. იქიდან მოსული პირველი ცნობების მიხედვით, მოსალოდნელი იყო, რომ კრედიტს უფრო სწრაფად და მეტი რაოდენობით მიაწოდებდნენ, ვიდრე ახლა ჰპირდებიან“.

შვედური პრესა დაჟინებით სდუმს ფინეთის შინაურ მდგომარეობაზე. მხოლოდ „დაგენს ნიუჰეტერმა“ გამოაქვეყნა ამას წინათ საუბარი თეთრფინეთის ერთერთ „მინისტრთან“, რომელმაც აღნიშნა მრეწველობის, ტრანსპორტისა და ნაოსნობის უაღრესად მძიმე მდგომარეობა. ქარხნები მეტწილად ევაკუირებულია. მუშები, — განაცხადა სტოკჰოლმში მყოფმა თეთრფინეთის სოციალური უზრუნველყოფის „მინისტრმა“ ფაგერჰოლმა, — გაწვეული არიან არმიაში; გემები თავშესაფარს ეძებენ უცხოეთის ნავსადგურებში, რკინიგზები დიდი შეფერხებით მუშაობენ, სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირი დარღვეულია.

ο

სტოკჰოლმი, 3 თებერვალი (საკდესი). შვედურმა გაზეთმა „დაგენს ნიუჰეტერმა“ გამოაქვეყნა ჰავასის სააგენტოს დეპეშა იმის შესახებ, რომ პარიზში, ინგლისელი და ამერიკელი ჟურნალისტების საუზმეზე, ფინეთის ელჩმა ჰოლმამ განაცხადა: „ჩვენ დაღუპვა მოგველის, თუ დაუყოვნებლივ არ დაგვეხმარებიან“.

ინგლის-საფრანგეთი ზეგავლენას ახდენენ რუმინეთზე

ბერლინი, 3 თებერვალი (საკდესი). როგორც იუწყებოდნენ, რუმინეთის მთავრობამ შეჰქმნა ნავთის კომისარიატი, რომელსაც დაეკისრა ნავთის წარმოების განაწილებისა და ექსპორტის კონტროლი. რუმინეთის მთავრობის ამ ღონისძიებამ გამოიწვია ინგლის-საფრანგეთის პრესის სასტიკი თავდასხმა რუმინეთზე. როგორც ცნობილია, რუმინეთის ნავთის მრეწველობას 50 და კიდევ მეტი პროცენტით ინგლის-საფრანგეთის კაპიტალი აფინანსებს. ამ გარემოებას ინგლისი და საფრანგეთი ყოველთვის იყენებდნენ რუმინეთის შინაეკონომიურ ცხოვრებაში და, უწინარეს ყოვლისა საზღვარგარეთ რუმინეთის ნავთის ექსპორტის საქმეში ჩარევისათვის. რუმინეთის მთავრობის უკანასკნელ ღონისძიებას ინგლისმა და საფრანგეთმა ისე შეხედეს, როგორც რუმინეთის განზრახვას — გაადიდოს ნავთის ექსპორტი გერმანიაში და შეამციროს ნავთის ექსპორტი ინგლისსა და საფრანგეთში. გერმანიის პრესა ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ინგლისი და საფრანგეთი ამჟამად უძლიერეს ზეგავლენას ახდენენ რუმინეთის მთავრობაზე და აიძულებენ მას უარი სთქვას ნავთის კომისარიატის შექმნაზე. გაზეთ „კელნიშე ცაიტუნგი“ სწერს: „ლონდონიდან მუქარა მუქარაზე შეუთვალეს რუმინეთს. ინგლისში აშკარად აცხადებენ: რუმინეთი უნდა ემსახურებოდეს ინგლის-საფრანგეთის ინტერესებს გერმანიის ბლოკადის განხორციელების საქმეში, ხოლო თუ იგი ასე არ მოიქცევა, მაშინ ინგლისი და საფრანგეთი უარს ეტყვიან მას თავიანთ გარანტიებზე და ეკონომიურ რეპრესიებს მიჰმართავენ რუმინეთის წინააღმდეგ“.

გაზეთ „ფრანკფურტერ ცაიტუნგი“ აღნიშნავს, რომ ინგლისი და საფრანგეთი მთელი ძალღონით ცდილობენ ხელი აალებინონ რუმინეთს ნეიტრალიტეტზე და აიძულებენ მას მონაწილეობა მიიღოს ეკონომიურ ომში გერმანიის წინააღმდეგ.

საფრანგეთში მყოფი ინგლისის ჯარის მდგომარეობა

ბერლინი, 2 თებერვალი (საკდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, საფრანგეთში მყოფი ინგლისის საექსპედიციო კორპუსის ჯარისკაცთა ჯანმრთელობის გაუარესებას, რაც დიდი ხნის განმავლობაში აფიქრებდა ინგლისის სამხედრო ხელმძღვანელობას, ახლა ადასტურებს დანაკლისის სიები, რომლებიც გამოქვეყნდა. ფრონტის ხაზზე სულ 14 კაცი დაიღუპა, ავადმყოფობამ კი 743 ოფიცერი და ჯარისკაცი იმსხვერპლა. გრიპის ეპიდემიის შემდეგ ამ უკანასკნელი კვირის განმავლობაში ინგლისის არმიაში დაავადებათა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. ჯარის ბევრმა ნაწილმა 50 პროცენტით დაჰკარგა თავისი ბრძოლისუნარიანობა.

ამერიკული გაზეთი თეთრფინეთის მდგომარეობის შესახებ

ნიუ-იორკი, 3 თებერვალი (საკდესი). გაზეთი „ჩიკაგო დეილი ნიუსი“ იუწყება, რომ საბჭოთა ავიაცია ბატონობს ჰაერში და რომ „მთელი უპირატესობა საბჭოთა ჯარის მხარეზეა“. მანერჰაიმის ცენზურა უცხოეთის პრესას უმალავს საომარი ოპერაციების ნამდვილ მსვლელობას და ფინეთის ჯარის დანაკლისს. გაზეთი აღნიშნავს, უახლოეს დროში მანერჰაიმის არმიის განადგურება აუცილებელიაო.

კამათი თემთა პალატაში

ლონდონი, 3 თებერვალი (საკდესი). ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, რომ ლეიბორისტმა მორისონმა, თემთა პალატაში გამოსვლისას, შეიტანა რეზოლუცია, რომელიც საჭიროდ სთვლის „ომის განსაგრძობად ეკონომიკის დაგეგმვას ინგლისის რესურსების საუკეთესოდ გამოყენების მიზნით“. რეზოლუცია მოითხოვს აგრეთვე, რათა სამხედრო კაბინეტის შემადგენლობაში სპეციალური მინისტრი იყოს, რომელიც სამხედრო ეკონომიკის დაგეგმვის საკითხებს გაუძღვება.

მორისონის წინადადებას მხარი დაუჭირა ლიბერალების ლიდერმა არჩიბალდ სინკლერმა, რომელმაც საჭიროდ მიიჩნია აგრეთვე ინგლისის ექსპორტის მაქსიმალური გაფართოება. სინკლერმა აღნიშნა, რომ, ინგლისში ფართოდ გავრცელებული აზრით, „მთავრობას არ გამოუყენებია მთელი არსებული შესაძლებლობა ნაციონალური რესურსების მობილიზაციისათვის“. ამას, — განაცხადა მან, — თუნდაც ის ფაქტი მოწმობს, რომ უმუშევართა დიდი ნაწილი დღემდე ჩაბმული არ არის წარმოებაში. სინკლერმა გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ ფინანსთა მინისტრი ამავე დროს ქვეყნის ეკონომიური პოლიტიკის საკითხებსაც ხელმძღვანელობდეს.

თემთა პალატამ 185 ხმით 90 ხმის წინააღმდეგ უარჰყო მორისონის მიერ შეტანილი წინადადება და მიიღო შესწორებანი იმის შესახებ, რომ ომის დროს საჭიროა ეკონომიურ ღონისძიებათა კოორდინაცია.

ომი ზღვაზე

ბერლინი, 3 თებერვალი. გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ 28 იანვარს ჩაიძირა საბერძნეთის გემი „ალენის ტარასოსი“, რომლის წყალწყვა 5.600 ტონას უდრიდა.

ο

სტოკჰოლმი, 2 თებერვალი. გაზეთი „სტოკჰოლმს ტიდნინგენი“ იუწყება, რომ იანვარში ინგლისმა დაჰკარგა 20 გემი, რომელთა საერთო წყალწყვა 65.000 ტონას უდრიდა, ორი საესკადრო ნაღმოსანი და სამი წყალქვეშა ნავი, საფრანგეთმა — ორი გემი 6.588 ტონა წყალწყვისა, გერმანიამ — 6 გემი 20.000 ტონა წყალწყვისა. იტალიელთა ცნობებით, ინგლისმა დაჰკარგა აგრეთვე საესკადრო ნაღმოსანი „ვიკონტი“, რაზედაც ისინი დღემდე სდუმან.

ნეიტრალურმა ქვეყნებმა დაჰკარგეს 42 გემი, რომელთა საერთო წყალწყვა 100.000 ტონას აღემატებოდა. (საკდესი).

თბილისის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტები ო. სტრელცოვა, კ. ფედოროვა და გ. შენგელია ბაკურიანში.

ფოტო ე. შმერლინგისა.

გიორგი ლეონიძის და სიმონ ჩიქოვანის ლექსები რუსულ ენაზე

მოსკოვი. („კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან). 3 თებერვალს „პრავდამ“ დაბეჭდა მ. ზენკევიჩის რეცენზია გიორგი ლეონიძის და სიმონ ჩიქოვანის ლექსების წიგნების შესახებ, რომლებიც რუსულ ენაზე გამოსცა გამომცემლობა „მხატვრულმა ლიტერატურამ“. გ. ლეონიძის შესახებ მ. ზენკევიჩი სწერს: „წარსულის ჰეროიკიდან იგი გადავიდა თანამედროვეობის ჰეროიკაზე. შეინარჩუნა რა მთლიანად თავისი დიდი პოეტური ოსტატობა, გ. ლეონიძემ შესძლო გამხდარიყო სოციალიზმის ქვეყნის „ხალხის საბრძოლო საყვირად“... გ. ლეონიძის ყველაზე უკეთესი ნაწარმოებია მისი პოემა „ბელადის ბავშვობა და ყრმობა“... ეს პოემა, რომელიც მშვენივრად სთარგმნა ნ. ტიხონოვმა, კრებულის ცენტრალური ნაწილია. გ. ლეონიძე ფართოდ იყენებს პოემაში ისტორიას და ეთნოგრაფიას, მთაგორიანი ბუნების აღწერას, რომ კავკასიელ პრომეთე-ამირანიდან გადავიდეს იმის ბავშვობაზე, ვინაც მსოფლიოს მოუტანა განთიადი“.

შემდეგ მ. ზენკევიჩი ახასიათებს ს. ჩიქოვანის მიერ განვლილ პოეტურ გზას, რომელიც „ინდივიდუალიზმის ვიწრო სამყაროდან გამოვიდა ახალი სოციალისტური ცხოვრების ასპარეზზე“. ეს საშუალებას აძლევს პოეტს შეჰქმნას ისეთი ბრწყინვალე ლექსები, როგორიცაა „უშგულის კომკავშირი“, „ხევსურული ძროხა“ და სხვ. როგორც რეცენზიის ავტორი აღნიშნავს, ს. ჩიქოვანი ქართველი პოეტების პირველ რიგში დგას. პოეტის ახალი გამარჯვებაა ლექსი „გორი“, რომელიც საუცხოოდ თარგმნა პ. ანტოკოლსკიმ. მ. ზენკევიჩი აღნიშნავს ორივე კრებულში მოთავსებული თარგმანების მაღალ ხარისხს.

ქართველი მწერლები ტყვარჩელში

აკარმარა, 4 თებერვალი (საკდესი). 3 თებერვალს საღამოს აკარმარის მაღაროელთა კლუბში გაიმართა საქართველოს მწერლებისა და პოეტების—შ. დადიანის, ს. ეულის, ლ. ქიაჩელის, კ. კალაძის, ა. გომიაშვილის, რ. გვეტაძის, ც. პოლუმორდვინოვის და ბ. ჟღენტის შეხვედრა ტყვარჩელქვანახშირის მაღაროელებთან. მეშახტეები აღფრთოვანებით მიესალმნენ საქართველოს საბჭოთა მწერლებს.

შეხვედრა დაიწყო ტყვარჩელქვანახშირის პარტიული ბიუროს მდივნის ამხ. ლეშჩენკოს სიტყვით. ქართული საბჭოთა ლიტერატურის შესახებ შინაარსიანი მოხსენება გააკეთა კრიტიკოსმა ბ. ჟღენტმა. თავიანთი ნაწარმოებები წაიკითხეს მწერლებმა—შ. დადიანმა, ს. ეულმა, ა. გომიაშვილმა და რ. გვეტაძემ. მეშახტეების სახელით მხურვალე მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა წარჩინებულმა სტახანოველმა, ყრილმნგრეველმა ანდრია ბესარაბამ. ამხ. ბესარაბამ წაიკითხა თავისი დაწერილი „ტყვარჩელის მაღაროელთა სიმღერა“.

სტუმრებს მიესალმნენ აგრეთვე: ახალგაზრდა მაღაროელთა სახელით ტყვარჩელქვანახშირის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ამხ. ლეიბა, მოწაფეთა სახელით—მოწაფე ტანია ლოპუხოვა, ახალგაზრდა დამწყები ავტორი—აკარმარის საშუალო სკოლის მასწავლებელი ამხ. კრასინსკი, რომლის პიესა „სიცოცხლე კარგია“ ამას წინათ ადგილობრივ კლუბში დაიდგა.

აფხაზი მწერალი, აფხაზეთის სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი გიორგი გულია, რომელიც საქართველოს საბჭოთა მწერლების დელეგაციას ახლდა, შეხვედრას დამთავრების შემდეგ ესაუბრა მაღაროელთა ლიტერატურულ წრის წევრებს და აღუთქვა მათთან შემოქმედებითი კავშირის დამყარება და ყოველგვარი დახმარების გაწევა.

მესამე ხუთწლედის სესხის ტირაჟი

5 თებერვალს ქ. ფერგანში იწყება მესამე ხუთწლედის სესხის (1 წლის გამოშვება) მოგებათა მე-5 ტირაჟი. ამ ტირაჟში გათამაშდება 96.050.600 მანეთის 610 ათასი მოგება. (საკდესი).

სასამართლო

დამსახურებული სასჯელი

გორი (საკ. კორ.). გასული წლის 14 აგვისტოს „კომუნისტში“ დაიბეჭდა წერილი „რატომ ითმენენ გამფლანგველებს“. წერილში აღნიშნული იყო ქალაქ გორის მეორე საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორის მავრა გელაშვილის ბოროტმოქმედება. ის მანუფაქტურით ვაჭრობდა და კომბინატორული ხერხებით ითვისებდა სახელმწიფო თანხებს. ამ სიგნალის შემდეგ გელაშვილის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები გამოიძია გორის რაიონის პროკურატურამ და დადასტურდა, რომ გელაშვილმა გაფლანგა 16.114 მანეთი. საქმე განსახილველად გადაეცა სახალხო სასამართლოს.

კომბინატორ გელაშვილის საჩვენებელო სასამართლო გორში 7 დღეს მიმდინარეობდა. საქმეს არჩევდა გორის მეორე უბნის სახალხო სასამართლო ამხ. ი. მურმანიძის თავმჯდომარეობით და პროკურორ ამხ. მ. ვანიძის მონაწილეობით.

პროცესს ყოველდღე დიდძალი ხალხი ესწრებოდა. გელაშვილისადმი წაყენებული ყველა ბრალდება მთლიანად დადასტურდა.

სასამართლომ კომბინატორ მ. თ. გელაშვილს მიუსაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა შორეულ ბანაკში გადასახლებით, ხოლო სასჯელის მოხდის შემდეგ 2 წლით სამოქალაქო უფლების ჩამორთმევა და მთელი გაფლანგული თანხის (16.114 მანეთი) გადახდა.

სასამართლომ კერძო დადგენილებით პასუხისგებაში მისცა ცრუმოწმეები მარიამ თავდგირიძე და ევგენია შატბერაშვილი, რომლებმაც ბრალდებულ გელაშვილის სასარგებლოდ სასამართლოს აშკარად ცრუ ჩვენებები მისცეს.

ს. ყურაშვილი

მ. ბ. ბაგდადლიშვილის ხსოვნას

საბრძოლო პოსტზე თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპა სოციალისტური სამშობლოს წმინდათა-წმინდა საზღვრების ერთგული გუშაგი მიხეილ ბენიამინის-ძე ბაგდადლიშვილი.

ამხ. მ. ბაგდადლიშვილი დაიბადა 1919 წელს ღარიბი ებრაელის ოჯახში. 1933 წელს დაამთავრა თბილისის მე-102 არასრული საშუალო სკოლა, რომლის შემდეგ შევიდა თბილისის კომუნალურ სამშენებლო ტექნიკუმში. ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ, 1938 წელს ამხ. ბაგდადლიშვილი შედის საქ. კიროვის სახელობის ინდუსტრიულ ინსტიტუტში. 1939 წელს მას იწვევენ მუშურ-გლეხურ წითელი არმიის რიგებში და თავისი სურვილით ჩარიცხულ იქნა შინსახკომის მესაზღვრე ნაწილში, სადაც იგი დიდის ენთუზიაზმითა და პატრიოტული განწყობილებით გაემგზავრა.

ამხ. მიხეილი იყო ლენინურ-სტალინური კომკავშირის ღირსეული წევრი და მალე მოიხვეჭა სამშობლოს დაცვისათვის საუკეთესო მებრძოლის სახელი. ამხ. მ. ბაგდადლიშვილის ხსოვნა დაუვიწყარი იქნება.

ამხანაგების ჯგუფი: **ნანეიშვილი, ზაბოლოტნი, ერმაკოვი, შაპავალოვი, ეგისკელაშვილი, ციციაშვილი, დათიკაშვილი, ბუზუკაშვილი, წითლიშვილი, გორელაშვილი.**

დღეს, 5 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის **ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლში** შესდგება ამხ. ბ. ჟღენტის ლექცია ქართულ ენაზე: „აკაკი წერეთლის ცხოვრება და შემოქმედება“.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: **საოპერა** — „რიგოლეტო“ (ტალ. № 109), **რუსთაველის სახელობის** — „თოფიანი კაცი“ (ტალ. № 107), **მარჯანიშვილის სახელობის** — „ჩატეხილი ხიდი“, **მუსკომედია** — „თივა და ავი ძაღლი“.

კინოებში: **რუსთაველის სახ.** — „ახალი დროება“, **ოქტომბერი** — „დიდი ქალაქის ჩირაღდნები“, **დამკვრელი** — „პატრიოტი“, **კომკავშირელი** — „გემის გზა“, **სპარტაკი** — „ზანგეზურ“, **ლუქსემბურგის სახ.** — „ალამასების ხეობა“, **26 კომ. სახ.** — „უკანასკნელი მასკარადი“, **კომინტერნი** — „ტომ სოიერი“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1939-40 წ. სეზონი.

5 თებერვალს მუდმ. ადგ. ტალ. № 107 **თოფიანი კაცი**
6 თებერვალს მუდმ. ადგ. ტალონი № 108 **ყაჩაღები**
8 თებერვალს მუდმ. ადგ. ტალ. № 109 **უდანაშაულო დამნაშავენი**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

5 თებერვალს მუდმ. ადგ. ტალ. № 109 **რიგოლეტო** ერევნის სპენდიაროვის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის სოლისტის გუსელნიკოვის მონაწილეობით.
6 თებერვალს მუდმ. ადგ. ტალ. № 110 **ფრუზადური**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახ სახელმწიფო თეატრი
1939—40 წ. სეზონი.

5 თებერვალს **ჩატეხილი ხიდი**
6 თებერვალს **ურიელ აკოსტა**
8 თებერვალს **ჩატეხილი ხიდი**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
6 თებერვალს დღისით **მზის დაბნელება საქართველოში** დასაწყ. დღის 12 ს.

სახელმწიფო მუსიკალური კომედიის თეატრი პლეხანოვის, 182 (ყოფ. მუშტაიდი)

5 თებერვალს პრემიერა **თივა და ავი ძაღლი**
6 თებერვალს **თივა და ავი ძაღლი**

დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

სახცირკი, ტელ. 3-11-44 | დღეს
მე-9 მხატვრულ-შემოქმედებითი საცირკო დასის გასტროლების გაგრძელება. მონაწილეობენ საცირკო ხელოვნების საუკეთესო ოსტატები
ატრაქციონი! ილუზია
მონაწილეობს **სოფია მარჩესი** თავისი ასისტენტებით
დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.
6 თებერვალს დღის წარმოდგენა დასაწყისი 2 ს. 30 წ.

დედა ნინო, ძმა ილია, დები ლიდა, ქსენია, სარა, თამარ ქინქლაძეები, სიძეებით და დისწულებით იუწყებიან, რომ 6/II 1 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია
დავით ხარლამპის-ძე ქინქლაძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 4898

მშობლები კონსტანტინე, თამარ, ძმები ვახტანგ, ნოდარ ჩოგოვაძეები იუწყებიან ძვირფას
შოთა (კუკური) კონსტანტინეს-ძე ჩოგოვაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 5/II 7 ს. გამოსვენება 6/II 2 ს. ცხემის ჩიხი 4. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 4907

რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის პედპერსონალი იუწყება ნ. ალექსი-მესხიშვილის მამის და ა. ხორავას სიმამრის
სარდიონ სარდიონის-ძე ალექსი-მესხიშვილის
გარდაცვალებას. 4896

მეუღლე მართა, და ნინო, ქრისტეფორე ტატიშვილი, შვილები ასიკო, ლილი, შალიკო, კაკო, რძლები, შვილიშვილები ფავლენიშვილები იუწყებიან საყვარელ
გიორგი ფავლენიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 7/II 4 ს. ფარკოფელის, 29. (ლენრაიონი). 4897

ცოლი მარიამ, შვილი გაბო, რძალი ვერიკო ღოღობერიძე, ცოლისდისწული მიშა შავდია იუწყებიან დაუვიწყარ
სამსონ ფრიდონის-ძე კობიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 6/II 5 ს. ქ. ქუთაისში, კიროვის, 96. 4900

რუსთაველის პროსპექტზე მდებარე № 30 სახლის მცხოვრებნი იუწყებიან ძვირფასი მეზობლის
ნიკოლოზ. (კოლია) ლუკას-ძე დუმბაძის
გარდაცვალებას. 4901

6/II 1 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
თინა ვასილის-ასულ ხახანაშვილი-მაჭარაშვილის
სამოქალაქო პანაშვიდი, რასაც იუწყებიან მეუღლე ლუარსაბ მაჭარაშვილი, შვილი პატარა გივიკო, დედა ნატალია შვილებით. 4902

აბაშიძე, ჩიტაია, ჩარგეიშვილი, ჩიკვილაძე, დოლიძე, ბააკაშვილი, ანჯაფარიძე, გაბუნია, კეზელი და ხმალაძე იუწყებიან ვახტანგის მამის
ნიკოლოზ დუმბაძის
გარდაცვალებას. 4903

შვილი ტერეზა დოლიძე-იაშვილისა ქმრით ელიაზარით, შვილებით ვალიკოთი, ქეთოთი, კაპიტოთი, ოთარით და რძლით ნადიათი იუწყება
ელისაბედ ალექსის-ასულ დოლიძის
გარდაცვალებას. 4905

ბიძა ბათლომე, ბიცოლა ანეტა, ბიძაშვილები შალვა, ლადო, კლიმენტი, რძლები ვერა, მარიამ, ლიზიკო ლეჟავები იუწყებიან დაუვიწყარ
სონია თედორეს-ასულ ლეჟავა-ნოზაძის
გარდაცვალებას. 4908

გამომცემლობა „ფედერაციის“ სტამბის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან ამავე სტამბის ტექ. დირექტორის კონსტანტინე ჩოგოვაძის შვილის
შოთა (კუკური) კონსტანტინეს-ძე ჩოგოვაძის
გარდაცვალებას. 100

მეუღლე გიორგი ანტონის-ძე, შვილები ლეილა, ნათელა, გურამ იუწყებიან ძვირფას
სოფიო (სონია) თედორეს-ასულ ნოზაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 5/II, 6½ ს. გამოსვენება 6/II 4 ს. ენგელსის, 66. კუკიის სასაფლაოზე. 4891

შვილები პროკოფი, ლადი შვილებით მიშათი, ნოდარით, კარლოთი, რძლები ვესია, აგრაფინა იუწყებიან
ნატალია დავითის-ასულ ბერაიას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 5/II 7 ს. საბჭოს, 59. დაკრძალვა 6/II 2 ს. კუკიის სასაფლაოზე. 4892

დედა კატო, ძმა გრიშა, ბიძები ევსევი, იოლა ცოლშვილით იუწყებიან
ნადია მინას-ასულ მაისურაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 4/II ს. ბაჯში (რაჭა). 4893

შალვა, ლილი, ქუჯი ჰუმბურიძეები იუწყებიან, რომ 6/II 2 ს. ვაკის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია
ნინო ქსენოფონტეს-ასულ ლამბაშიძე-ჰუმბურიძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 4894

დეიდა ფეოდორა, დეიდაშვილები მარიამ, კატო, ანეტა, ნინო ქმარშვილით, გერასიმე ცოლშვილით, ლეონიდე, ოლია კვაჭაძეები იუწყებიან დაუვიწყარ
ფეოდორა ღლონტი-ახალაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 5/II 5 ს. ვეძინის, 23. 4895

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩ № 28 ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო სამეურნეოს—3—73—40. ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84. წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული № 731